ვერსია

№47 (1688) 13 — 19 დეკემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

საქართველო – ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინში

არის თუ არა ქვეყანაში დაცული ადამიანის უფლებები – ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშის მთავარი გზავნილი

როგორ უნდა დაისაჯონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების მკვლელები

ვახტანგ მაისაია: „ასეთი ტიპის გარეწრებისთვის სანქციები კოღოს ნაკბენს ჰგავს!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„სრულიად ოპოზიცია გათხვარა ამ ბიჭმა!“

რას აპირებს საარჩევნოდ და რა პრეტენზიები აქვს ნიკა მელიასთან თაკო ჩარკვიანს

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე“... ანუ ზურაბ ჟვანიას ახდენილი წინასწარმეტყველება

როგორ დაიწყო საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია

შინაგან საქმეთა მინისტრი ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსვენებული 23 პირის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და მთავრობის წევრებთან ერთად, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსვენებული 23 პირის სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო.

მთავრობის მეთაურმა და მინისტრებმა დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და ოჯახის წევრებს მიუსამძიმრეს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, ამჯერად უგზო-უკვლოდ დაკარგული 23 იდენტიფიცირებული პირის ოჯახებისთვის დაბრუნება მოხერხდა, მათგან 21 სამხედრო და 2 მშვიდობიანი მოქალაქეა.

კახეთში, სოფელ ლეჩურთან არსებულ ტყის მასივში გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველების მიერ, კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჩურთან არსებულ ტყის მასივში გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – „112“-დან მიღებული ინფორმაციით, სოფელ ლეჩურთან, მთის ფერდობზე, ფოთლოვან ტყეში შეინიშნებოდა დაკვამლიანება. ცეცხლი ტყის ქვედა საფარს, ეკალ-ბარდს და ხის ხმელ ტოტებს გაუჩნდა.

მეხანძრე-მაშველების მიერ უწყვეტი სამუშაოების შედეგად მოხერხდა ხანძრის ლოკალიზება და შემდგომში სრული ლიკვიდირება.

ცეცხლის ქრობის პროცესში ჩართული იყო 50-მდე მეხანძრე-მაშველი და დრონები. რთული რელიეფის გამო, ხანძრის კერასთან სახანძრო-სამაშველო ტექნიკის შეყვანა ვერ მოხერხდა.

მთელი ღამის განმავლობაში, პრევენციისა და მონიტორინგის მიზნით, ადგილზე იმყოფებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ჯგუფი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოჯახში ძალადობისა და მუქარის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1991 წელს დაბადებული მ.კ. ოჯახში ძალადობისა და ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული გალის რაიონში სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე – 1989 წელს დაბადებულ ა.კ.-ზე.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ბრალდებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11 პრიმა 151-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობასა და ოჯახის წევრის მიმართ მუქარას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორად ვახტანგ გაბრიჭიძე დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი – ვახტანგ გაბრიჭიძე წარუდგინა.

ალექსანდრე დარახველიძემ მიგრაციის დეპარტამენტის ახლადდანიშნულ დირექტორთან ერთად დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განიხილა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

ვახტანგ გაბრიჭიძე მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის პოზიციაზე დანიშვნამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორის თანამდებობას იკავებდა.

ვახტანგ გაბრიჭიძე უწყებაში 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა პოზიციას იკავებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქმენეთის დელეგაცია ესტუმრა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თურქმენეთის ოფისის მხარდაჭერით, თურქმენეთის დელეგაცია ესტუმრა ოფიციალური სამუშაო ვიზიტით.

თურქმენეთის დელეგაცია წარმოდგენილი იყო სახალხო დამცველის აპარატის, გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მეჯლისის (პარლამენტი) და საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებით. დელეგაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, მიგრაციის დეპარტამენტის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს.

ვიზიტის მიზანს სახალხო დამცველთან არსებულ, პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან (დეპარტამენტი) შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლობის გაცნობა წარმოადგენდა.

ქართულმა მხარემ თურქმენეთის დელეგაციას ასევე დეტალურად გააცნო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა მიმართ არსებული რეგულაციები, მათთვის განკუთვნილი სერვისები, დაკავებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა და სხვ.

მხარეებმა ასევე გამოხატეს მზაობა აქტიურად გააგრძელონ თანამშრომლობა, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიმართულებით.

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე“... ანუ ზურაბ ჟვანიას ახდენილი წინასწარმეტყველება

როგორ დაიწყო საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია

ნინო დოლიძე

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“ – საქართველოს აწ განსვენებული პრემიერის ეს სიტყვები დღესაც, მისი წარმოთქმიდან 21 წლის შემდეგაც აქტუალურია. მაშინ, 1999 წლის 27 იანვარს, როცა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს გაწევრიანებისას, საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ეს სიტყვები წარმოთქვა, ალბათ, თავად ზურაბ ჟვანიას ჰქონდა ერთვარი ნიჰილიზმი, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ევროპის სრულფასოვანი წევრი ძალიან დიდხანს ვერ გახდებოდა.

მას შემდეგ 21 წელი გავიდა. ეს დრო ისტორიისთვის არაფერია, თუმცა ადამიანებისთვის ძალიან ბევრია. დიახ, ამ 21 წელში ბევრი რამ მოხდა. ბოლოს და ბოლოს, ზურაბ ჟვანია გაურკვევე ვითარებაში გარდაიცვალა, თუმცა ამბობენ, რომ სამყაროში არაფერი იკარგება და თუკი მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ საქართველოსთვის ევროკავშირი წევრობის სტატუსის მინიჭებას იქ, იმიერში ზურაბ ჟვანიაც გაიგებს. დიახ, თუ ვინმეს გაუხარდება ის გადაწყვეტილება, რომელსაც ევროკავშირი რამდენიმე დღეში მიიღებს, ეს ზურაბ ჟვანია იქნება. ახლა, შესაძლოა, ბევრს არ ესიამოვნოს, მაგრამ ფაქტია – თანამედროვე საქართველოში ევროპული ღირებულებების კულტივირება სწორედ ჟვანიამ დაიწყო...

სხვათა შორის, 3 დეკემბერს, ზურაბ ჟვანიას 60 წელი შეუსრულდა. რატომ არის ჟვანია საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა? – ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს, საქართველოს პარლამენტმა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველმა შექმნა საკანონმდებლო სისტემა, რომელიც დემოკრატიულ, ევროპულ ღირებულებებს ეფუძნებოდა.

სიმბოლურია, რომ წელს, როცა საქართველო ევროკავშირის წევრობის სტატუსის მოლოდინშია, ზურაბ ჟვანია „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით“ დაჯილდოვდა. ზურაბ ჟვანიას 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება და დაჯილდოების ცერემონია საქართველოს პარლამენტში გაიმართა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ჯილდო ზურაბ ჟვანიას მეუღლეს, ნინო ჟვანიას გადასცა.

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, საქართველოს პარლამენტის სახელით, ზურაბ ჟვანია დაჯილდოვდა „თავისუფლების საპარლამენტო ორდენით“, რათა აღინიშნოს მისი განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტარიზმის წინაშე.

„დღეს, ზურაბ ჟვანიას დაბადებიდან 60 წლის იუბილეა. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს დემოკრატიის განვითარებაში, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და, განსაკუთრებულად, პარლამენტისა და პარლამენტარიზმის განვითარებაში. 31 წლის ასაკში გახდა პარლამენტის თავმჯდომარე, 41 წლის ასაკში, სამწუხაროდ, ამ ქვეყნიდან წავიდა, მაგრამ მან იმ პერიოდში, როდესაც პოლიტიკაში იყო და, განსაკუთრებით, როდესაც პარლამენტს ხელმძღვანელობდა, უდიდესი წვლილი შეიტანა, როგორც პროცედურულად პარლამენტის ჩამოყალიბებაში, საკანონმდებლო საქმიანობის პროცედურების ჩამოყალიბებაში, საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებაში, ისე, ზოგადად, პოლიტიკის იდეის დანერგვაში. ამ ღვაწლის აღსანიშნად, საქართველოს პარლამენტის სახელით, ის დავაჯილდოვეთ თავისუფლების საპარლამენტო ორდენით, რათა აღვნიშნოთ მისი განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტარიზმის წინაშე“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ზურაბ ჟვანია, ცხადია, ერთადერთი არ ყოფილა, რომელიც საქართველოს ევროპულ გზაზე გაყვანს ცდილობდა. ეს ამბავი ჯერ კიდევ იმ დროს დაიწყო, როცა სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთში, ლუდოვიკოს ეახლა. მერე იყო ილია ჭავჭავაძე და... იყვნენ სხვებიც, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საქართველო ძირძველი ევროპაა.

დიახ, საქართველო ძირძველი ევროპაა თავისი კულტურით, მენტალობით, შეგნებით და ახლა, დადგა დრო, როცა ეს ევროპელობა დოკუმენტურად უნდა გაფორმდეს.

დიახ, ზურაბ ჟვანიასა და სხვათა წინასწარმეტყველება ამ დღეებში ახდება, თუმცა სტატუსი უპირობოდ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები გავხდეთ!

სტატუსიდან წევრობამდე კიდევ დიდი გზის გავლა მოგვიწევს, მაგრამ სტატუსი იმ სინათლეს ჰგავს, რომელიც გვირაბის ბოლოს ჩნდება ხოლმე.

ასე რომ, ახლა თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, ამ სინათლეს მივუახლოვდებით თუ დავშორდებით, თუმცა რაც უნდა იყოს და ვინც რა უნდა იძახოს, ფაქტია, ევროპა საქართველოს სახლია!

ისე, რაკი ზურაბ ჟვანიაზე ვსაუბრობთ, აქვე, „ვერსიის“ არქივიდან ერთ მასალას შემოგთავაზებთ, რომელიც პრემიერის ბურუსით მოცულ გარდაცვალებას ეხება.

* * *

გარდაცვალებამდე არცთუ დიდი ხნით ადრე, ჟვანია აშშ-ში იმყოფებოდა. ეს ოფიციალური ვიზიტი იყო, რა დროსაც მისი მეგობრის, მარინა შენგელიას ვერსიით, ჟვანიამ „რაღაც დოკუმენტები“ დაკარგა. ერთი ვერსიით, გამქრალ-დაკარგული დოკუმენტაცია, რომელიც ექსსპიკერს ვაშინგტონში, ვიღაცისთის უნდა გადაეცა, სააკაშილისა და, საერთოდ, მისი გარემოცვის ფინანსურ მაქინაციებს ეხებოდა. შესაბამისად, ჩნდება გონივრული ეჭვი, რომ პოლიტიკოსი, რომელიც პოლიტიკურ ოლიმპზე მწვანეთა მოძრაობის ლიდერობიდან ავიდა, შესაძლოა, სწორედ ამ დოკუმენტაციის ანაწერა გახდა ანუ ჟვანიამ რევოლუციონერ მეგობრებზე ისეთი რაღაც იცოდა, რაც თეთრ სახლში არ უნდა გაეგოთ. ამ ვერსიის დადასტურება, ცხადია, გაძნელდება, მაგრამ ამ კუთხით მსჯელობა ღირს.

„ – ... ქალბატონო მარინა, პრემიერსა და მის ოჯახთან ახლოს იყავით. ოდესმე, შეგიმჩნევიათ, რომ ჟვანიას კონსპირაციული ბინა ჰქონდა?

– არა, ეს არ შემიმჩნევია, მაგრამ გამორიცხულია, ზურა საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში ყოფილიყო... ერთ ამბავს გიამბობთ, რომელიც რევოლუციამდე მოხდა: ჩემს არასამთავრობო ორგანიზაციაში ერთი კარგი პიროვნება იყო, გორის ქარხნის დირექტორი, რომელსაც ჩვენი პარტიის (იგულისხმება ჟვანიას პარტია, – ნ.დ.) გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უნდოდა.

– უკაცრავად, ეს პიროვნება კონსპირაციულ ბინასთან რა კავშირშია?

– გეტყვით... ჩვენი პარტიის რაიონული ორგანიზაციები რომ ფუძნდებოდა, ერთხელ, შუაღამისას, გოკა გაბაშვილმა დამირეკა, იმ ადამიანის ძმისშვილი, ვინც გორში, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელად ინიშნება, დაშინების მიზნით, გაიტაცეს და ზურამ გთხოვა, შენს სასტუმროში მიიყვანოო. ჰოდა, თუ ზურას კონსპირაციული ბინა ჰქონდა, იქ არ მიიყვანდა?

– ვერ გავიგე: გორის ორგანიზაციის სავარაუდო ლიდერის ძმისშვილი ვინ გაიტაცა?

– როგორც ითქვა, მაშინდელმა ხელისუფლებამ...

– თუკი ხელისუფლებამ გაიტაცა, თქვენს სასტუმროში როგორ უნდა მიგეყვანათ?

– როცა დააბრუნეს, ზურას უნდოდა, რომ ერთი ღამე ჩემს სასტუმროში გაეთია და დილით, პარტიის ოფისში მიმეყვანა. მოკლედ, ეს ბავშვი ვნახე, გულმკერდთან გაკაწრული ჰქონდა. ზურამ რომ მკითხა, რას ფიქრობო, ვუპასუხე, ამაზე ჰაი-ჰუის ატეხვა არ ღირს. ეს რაღაც პიარისთვისაა გაკეთებული-მეთქი...

– რაულ უსუპოვი როდიდან გახსოვთ, ქალბატონო მარინა?

– რაულ უსუპოვი ერთი წყნარი ბიჭი იყო, რომელსაც არცთუ ხშირად ვხედავდი...

– ერთი სიტყვით, იზიარებთ ვერსიას, რომ პრემიერი უბედურ შემთხვევას კი არ შეეწირა, არამედ, მოკლეს, არა?

– დიახ, ამაში ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული!

დასასრული მე-6 გვერდზე

„სრულიად ოპოზიცია გათხვარა ამ ბიჭმა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას აპირებს საარჩევნოდ და რა პრეტენზიები აქვს ნიკა მელიასთან თაკო ჩარკვიანს

„ვერსია“ აგრძელებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო გეგმების გარკვევას. ამჯერად, პარტია კანონი და სამართლის ლიდერ თაკო ჩარკვიანს ვესაუბრეთ:

– ქალბატონო თაკო, რა გეგმები გაქვთ საარჩევნოდ? აპირებთ, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში?

– ჯერჯერობით, მაინც თავს შევიკავებ. რაც შეეხება პარტნიორობას, დიდი ხანია, 2018 წლიდან ვპარტნიორობ ნაციონალურ მოძრაობასთან, მაგრამ მისი სიით არ გავედი. შემოთავაზება იყო წინა საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ მაშინ ვამჯობინე, ცალკე გავსულიყავი. პარიტეტზე ბლოკი შევქმენით და გავედი პარტია კანონი და სამართლის მანდატით. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, ჯერჯერობით, ამაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან წინ არის რეფორმებზე საუბარი და ვნახოთ, რას მოიტანს პროცესი, იმის მიხედვით შემეძლება, ვთქვა...

– ქალბატონო თაკო, NDI-ს ახალი კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 62% მიიჩნევს, რომ არც ერთი პარტია მის ინტერესებს არ გამოხატავს. ასევე დაბალ ნიშნულზეა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა მონაცემი – 4%. როგორ შეაფასებთ ყველაფერ ამას?

– დაახლოებით ვიცი, რა პერიოდში ჩატარებული კვლევაა...

– ოქტომბერ-ნოემბერში...

– კი, ბატონო. ეს, გარკვეულწილად, გამოიწვია იმ ალიაქოთმა... მე საერთოდ ლეგიტიმურობის მიხედვით ვსაუბრობ ყოველთვის და ვერასდროს, ვერაფერს დააბრალებ არჩეულ და ლეგიტიმურ თავმჯდომარეს. ვიღაცას მოსწონს თუ არა, ის, ენმ-ის ამომრჩეველმა აირჩია და მე პატივს ვცემ მათ არჩევანს...

ყველაფერი ეს გამოიწვია ამ ჩანერგილი... მე დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობ – ეს გახლავთ ნიკანორ მელია. ნაციონალურ მოძრაობას ასეთი პერიოდი ჰქონია, მაგალითად, 2016 წელს. მე პირადად ძალიან დასუსტებულ ენმ-ს დავუდექი გვერდით 2018 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში. ძალა ერთობით, გაერთიანებით ხალხი გვენდო და ისე წამოსწია წელი ნაციონალურმა მოძრაობამ (მაშინ ნიკა მელია არ იყო თავმჯდომარე), დავდეთ მეორე ტური, პრაქტიკული გამარჯვება იყო...

როცა გაერთიანებაზე ვსაუბრობდი, ხაზარაძე და გახარია აყოლებდნენ ხოლმე – „გავერთიანდეთ, ოღონდ“... ამ „ოღონდ“-ს რომ აყოლებ, ეს გაერთიანება აღარაა. მე ვამბობ, რომ რადგან რუსეთთან ომში ვართ, გავასწოროთ კომპასის ისრები. ესენი საკუთარ რაღაცებზე ფიქრობენ და ამას ხალხი რომ ხედავს, ნდობა არის აი, ასეთი. ამიტომ, ხალხზე დაბრალება არის უდიდესი შეცდომა, ე.ი. შენ ვერ აკეთებ რაღაცას კარგად, ხალხი კი არა... ოპოზიცია ასეთ კინკლაობას რომ აჩვენებს...

ვიღაცის არასწორ საქციელს ყოველთვის ვპასუხობ. მაგალითად, მიმაჩნია, შენ ნიკა მელია რომ ხარ და რომ გადაგირჩიეს, უნდა გაჩერდე და პარტიის ლანძღვა არ უნდა გააგრძელო. არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. რა უბედურება ქნა ამ ბიჭმა, რა სამარცხვინოდ წავიდა?! არ მოგწონს, არ ეთანხმები, გავიგეთ, მაგრამ გადაგირჩიეს და როგორ შეიძლება, ასე რაღაცას გამოეკიდო?.. სააკაშვილი მიემხრო ლეგიტიმურ თავმჯდომარეს ანუ პოზიცია იმ კაცმა გამოხატა, პარტიის ლიდერმა და ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს, შენ? რა უფლება გაქვს, რომ ასე არყევ ყველაფერს?!

გასწორდება ყველაფერი, ნაციონალური მოძრაობა ისევ მოიკიდებს ფეხს...

საინტერესო რაღაცას გეტყვით, რაც პრესით არ გამიჟღერებია... რომ განაცხადა მელიამ, ვტოვებ წარსულს და მივდივარ მომავალშიო, მე ვიხუმრე – მოავლო ხელი 2009-2012 წლებში იმ ავადსახსენებელი ციხის კადრების დროს მთავარ პროკურორ მურთაზ ზოდელავას და პოლიციის აკადემიის ყოფილ უფროსს და „წევიდნენ მომავალში“-მეთქი. რა მაინტერესებს, იცით? – ამ წარსულს ვის უტოვებენ – მე, ყოფილ ოპოზიციონერს? აბა, ვის მოვთხოვო პასუხი – ირაკლი ფავლენიშვილს, ლევან ხაბეიშვილს, ლაშა ფარულავას, ვასო ურუშაძეს, იგორ ნარმანიას, თუ ვის?! იქ არის ახალი გუნდი და ახლებიდან ვის მოვთხოვო წარსულზე პასუხი? გამოვიდა ვანო მერაბიშვილი და თქვა, პრემიერობა მინდაო? აბა, 7 წელი რომ მოიხადა სასჯელი და გამოვიდა, თავის პარტიას უგულშემატკივრებს, ჩემსას ხომ არა?..

ხალხი მელიას ამ ტყუილებს უყურებს და არავინაც არ აჰყვა, მაგრამ მთლიანად პროცესი დააზიანა, ყველა პარტიას მიაყენა ზიანი.

– ანუ, სრულიად ოპოზიციის მიმართ გაუჩნდა ხალხს უნდობლობა?

– დიახ, ხალხი ამბობს, რომ აღარ შეიძლება ასე... ამიტომ, სრულიად ოპოზიცია გათხვარა ამ ბიჭმა. ამას მთელი ობიექტურობით ვამბობ... თუ საქმე წარსულზე მიდგა, ფრთხილად ილაპარაკონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მე ვესაუბრები და ჩემნაირები. ფრთხილად ისაუბროს ხაზარაძემაც, რომელიც შეზრდილი იყო იმ ხელისუფლების დროს სისტემას და მით უმეტეს, ნიკანორ მელია, რომელიც აღსრულების ბიუროს ხელმძღვანელი იყო, ადეიშვილის დროს.

– მიიჩნევთ, რომ მელიას პოლიტიკური პერსპექტივა არ აქვს? აქვე შეგახსენებთ, რომ მელიას მხარდამჭერები ტოვებენ პარტიას დედაქალაქშიც და რეგიონებშიც...

– უთუოდ არ აქვს... პოლიტიკა იცით, როგორაა? – „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“. იდეა და პარტიის დამფუძნებელი თავის ადგილზეა. იმ იდეის მიმდევრები არიან და მიხარია, რომ პარტიაში განახლებული გუნდი მივიდა, ასაკითაც კი განახლებულია... იგივე, გიორგი ვაშაძე ვიღაცას მოსწონს თუ არა, სისხლთან და რაიმე მაგვართან კავშირს ხომ ვერ დააბრალებ? გარდა რეფორმებისა და იუსტიციის სახლის მშენებლობისა, ამ ბიჭს რა აქვს გაკეთებული, კარგის მეტი?... იგივე, ლევან ხაბეიშვილი – ვინმე ხომ ვერ იტყვის, რომ ამ ბიჭს რაიმე კავშირი ჰქონია, ოდესმე, დანაშაულებრივ ქმედებებთან? მსგავსი არაფერი... აბა, რა ხდება, ვერ გავიგე! არც ზოდელავას ვერჩი, ობიექტურად აღვნიშნავ, იმდენი იძახეს წარსული, წარსულიო, იძულებული გამხადეს, მეთქვა, ცოტა ფრთხილად ახსენეთ ეს სიტყვა-მეთქი. რა ეგონა ნიკას, რომ ეს ტყუილი... მე გეტყვით – მას ჰქონდა სერიოზული დავალება, რომელიც ბოლომდე ვერ შეასრულა. გარკვეული ადამიანები გავედეთ ფეხებში.

– ვისგან ჰქონდა და რა დავალებაზე საუბრობთ?

– ანი წითლიძემ ტყუილი ხომ არ თქვა ღია ეთერში, ფერფლად ვაქცევ პარტიასო, ამას რომ პარტიის თავმჯდომარე იტყვის, მიკვირს, აქამდე როგორ გააჩერეს ეს ბიჭი და რატომ აჩერებდნენ საერთოდ. დიდი ხანი ვამბობდი, რომ ეს ტიპი უნდა გავუშვათ. 60 000 კაცი რომ დაშალა და სახლში გაუშვა, რა სიტყვებით ლანძღავდა სააკაშვილს, მისი პარტიის თავმჯდომარე იყო. ვინმე ფიქრობს, რომ გლდანში ნიკა მელიას მისცეს ხმა?!

– ქალბატონო თაკო, გარდა შიდაპარტიული დაპირისპირებისა, საინტერესოა, რა გეგმა აქვს ოპოზიციას... რაზე საუბრობთ პარტიები, სტრატეგიის რა მონახაზი აქვს ოპოზიციას?

– ერთი წლის წინ წარვადგინე ამნისტიის კანონი, რადგანაც დასავლეთი გვთხოვს, ახალი ფურცლიდან დავიწყებთ-მეთქი. ბიუროზე, მეორე მოსმენის დროს ჩავარდა ეს ინიციატივა. ეს საქართველოს წაადგება, რადგან ძალიან დავამძიმეთ ქვეყანა უკვე ყველამ და ამიტომ შემოვიტანე ეს ინიციატივა...

რაც შეეხება გეგმას – დავდივართ რაიონებში. ძირითადად, როცა დიპლომატიურ კორპუსს ვხვდები, ყოველთვის ვსაუბრობ რეფორმებზე. თუ არ გავაკეთეთ საარჩევნო და სამართლებრივი სისტემის რეფორმა, არც ერთმა ოპოზიციურმა ძალამ არ მოგატყუოთ, ვინც იტყვის, რომ მოვალთ და რეფორმას გავაკეთებთო, იცოდეთ, რომ ის ძალა ტყუის. ჯერ უნდა ვიბრძოლოთ იმაზე, რომ სამართლებრივი რეფორმა გავაკეთოთ. სასამართლო არ გვაქვს, საარჩევნო სისტემა არარეფორმირებულია და აბა, არჩევნებში მონაწილეობით, იგივე, 30-წლიან წრეზე უნდა წავიდეთ? ამას ჰქვია ღლიცინი და მაიმუნობა. მე ხალხის მხარეს ვარ. როცა მათ რაღაც არ მოსწონთ, ძალიან მართლები არიან. რატომ უნდა ენდოს ხალხო ვინმეს? – არავის და არაფერს უნდა ენდოს ხალხი, გარდა რეფორმირებული სისტემისა, რომელიც აიძულებს ნებისმიერ ჩინოვნიკს, რომ იყოს კანონმორჩილი. ამიტომ ვსაუბრობ მუდამ რეფორმებზე, სხვა გამისავალს ვერ ვხედავ.

როგორ უნდა დაისაჯონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების მკვლელები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ოკუპირებულ გალში სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. მილიციელებმა საქართველოს მოქალაქე, თემურ კარბაია მოკლეს. მოკლული მამაკაცის ოჯახი დამნაშავეების უმკაცრესად დასჯას ითხოვს. ცხედარი სახლში გადაასვენეს და ოჯახის წევრები ამბობენ, რომ სხეულზე მიყენებული დაზიანებები უმძიმესია.

„ძვლები დამტვრეული აქვს, გვერდები, რა ვიცი, განადგურებულია... გუშინ კომაში იყო და გარდაიცვალა. დაისაჯოს ყველა, ვინც ეს გააკეთა“, – ამბობს ოჯახის წევრი.

მომხდარ დანაშაულს გამოეხმაურა სუს-იც, რომელიც ადასტურებს, რომ საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა საქართველოს მოქალაქე მოკლეს, თუმცა არ ადასტურებენ კარბაიას დაკავების მცდელობას.

43 წლის მამაკაცის მკვლელობაში სამი ე.წ. მილიციელია მხილებული. გავრცელებული ინფორმაციით, საოკუპაციო რეჟიმის მსახურმა ძალოვანებმა საქართველოს მოქალაქე ქუჩაში სასიკვდილოდ სცემეს.

მედიით გავრცელებული ინფორმაციითვე, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოს მოქალაქის, თემურ კარბაიას გარდაცვალების ფაქტზე „შესაბამისი სამსახურები გამოძიებას აწარმოებენ“.

გამოცემა „აიაშარას“ ცნობით, ე.წ. შსს-ს ინფორმაციით, 6 დეკემბერს, გალის რაიონის „შინაგან საქმეთა სამმართველოში“ შევიდა შეტყობინება, რომ გალის საქალაქო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე გამვლელებს შეურაცხყოფას აყენებდა და უცენზურო სიტყვებით მიმართავდა.

„შემოსულ სატელეფონო შეტყობინებაზე რეაგირების შედეგად, 1979 წლის 30 აგვისტოს დაბადებული ვიტალი კარბაია პოლიციის სამმართველოს სამორიგეო განყოფილებაში გადაიყვანეს“.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შსს-ს მტკიცებით, გალის რაიონის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილმა კარბაიამ საკუთარი თავის დაზიანება სცადა, რის გამოც, სამედიცინო ჩარევის მიზნით, რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ე.წ. უწყების ცნობით, 7 დეკემბერს, დილით, „პრევენციული საუბრის შემდეგ“, კარბაია გაათავისუფლეს“.

ამასთან, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ 9 დეკემბერს, კარბაია სოხუმის საავადმყოფოში გარდაიცვალა, სადაც წინა დღით, გალის საავადმყოფოდან გადაიყვანეს...

აღსანიშნავია, რომ სულ ცოტა ხნის წინ, საოკუპაციო რეჟიმმა გორის მკვიდრი თამაზ გინტური მოკლა...

ასეთ დროს, ჩნდება კითხვა: რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოს მხრიდან იმისთვის, რომ დამნაშავეები დაისაჯონ და სამართლიანობა აღსრულდეს?

„ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ მაისაიას ესაუბრა:

ვახტანგ მაისაია: „ასეთი ტიპის გარეწრებისთვის სანქციები კოღოს ნაკბენს ჰგავს!“

– პირველ რიგში, უნდა მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების მობილიზება და ამ საკითხის გატანა გაერო-ს შესაბამის სესიაზე. უნდა მოხდეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოწვევა, რადგან ეს არის ეთნიკური გენოციდის ფაქტები და ამაზე უნდა გააკეთოს ჩვენმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ საკმაოდ მკაცრი რეაგირება. საერთაშორისო საზოგადოებას უნდა მივმართოთ, რომ ეს ბერკეტები გამოვიყენოთ იმიტომ, რომ სხვა ბერკეტები, ამ შემთხვევაში, არ გვაქვს.

უნდა ავამოქმედოთ ჟენევის მოლაპარაკების მექანიზმი და მოვითხოვოთ სასწრაფოდ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა, რადგან ეს საკმაოდ სერიოზული გამოწვევაა და არაა ჩვეულებრივი სოციალურ ნიადაგზე განხორციელებული ფაქტი. ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და არ აქვს მნიშვნელობა, ამას რომელი ჩაიდენს – საქართველოს თუ აფხაზეთის ე.წ. შსს-ს წარმომადგენელი, რადგან აფხაზეთი არის საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ, თუნდაც ფორმალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ თუ გვქონდა სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ასეთი რეაქცია, მსგავსი უნდა გვქონდეს აფხაზეთის დე ფაქტო, ავტორიტარული რეჟიმის წარმომადგენლების მიმართაც. ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შესახებ უნდა გავაგებინოთ მთელ საერთაშორისო საზოგადოებას. უნდა მოხდეს არასამთავრობო სექტორის ჩართვა. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების წინაშე უნდა დავსვათ ეს საკითხი. არა მარტო ევროპის, დასავლეთის, არამედ, ევრაზიის მიმართულებითაც, იგივე, ყაზახეთის, აზერბაიჯანის – ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ვინც არიან, ევრაზიის სივრცეში.

მესამე საკითხი ისაა, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძისა და სააკაშვილის პერიოდში იყო ასიმეტრიული ტიპის მოძრაობების შექნა, რაც სააკაშვილმა ძირშივე ამოთხარა და ეს ბერკეტი გამოგვეცალა ხელიდან.

როცა შევარდნაძის დროს, კავკასიის სამშვიდობო ბიუროს მრჩეველი ვიყავი, გავაკეთეთ დოკუმენტი, სადაც გვქონდა ასიმეტრიული ქმედებების განხორციელება. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მოიწონა და ამან გაამართლა, რადგან ჩვენ გვქონდა ადეკვატური რეაგირება გათავხედებული და ბანდიტური ჯგუფების მიმართ, რომლებიც გალში ახორციელებდნენ ქართული მოსახლეობის გენოციდს. აქ რუსები ვერ შემოგვედავებიან, რადგან იმისთვის, რომ ჩვენი მოსახლეობა დავიცვათ, სხვა გამოსავალი არ გაგვაჩნია, გარდა იმისა, რომ გაკეთდეს ყველაფერი, რაზეც ვისაუბრე.

– ოპოზიცია ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის ამოქმედებაზე საუბრობს, რას იტყვით ამის შესახებ?

– ეს არის საერთაშორისო საზოგადოების ჩართვის მომენტი, რომელიც აუცილებლად უნდა ავამოქმედოთ და სანქციები გამოვაცხადოთ... თუმცა, ასეთი ტიპის გარეწრებისთვის სანქციები კოღოს ნაკბენს ჰგავს! ისინი არც აპირებენ დასავლეთში ვოიაჟებს. ვფიქრობ, რომ ასეთი სანქციების სია საქართველომ უნდა გააკეთოს ევრაზიულ სივრცეშიც, ჩვენს სტრატეგიულ მეგობრებთან – ყაზახეთში, აზერბაიჯანში რომ არ შეუშვან ეს ადამიანები.

მაგალითად, რუსეთს ასეთი სია აქვს გადაცემული სომხეთისთვის, რომ არ შეუშვან ანტირუსული ქმედებების განმახორციელებელი ადამიანები. მეც ამ სიაში ვარ და სომხეთსა და ბელორუსში ამიტომ არ მიშვებენ. ბელორუსსა და რუსეთში ისედაც არ ვაპირებ წასვლას, მაგრამ სომხეთში არ შემიშვეს წინა რეჟიმის პერიოდში. ასეთი სიები უნდა მივაწოდოთ ჩვენს მეგობრებს ევრაზიაში, ჩინეთში, რადგან იქაც შეზღუდონ და არ შეუშვან საკუთარ ტერიტორიაზე ეს ადამიანები.

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე“... ანუ ზურაბ ჟვანიას ახდენილი წინასწარმეტყველება

მე-2 გვერდიდან

– თქვენი ვერსიით, ჟვანია რატომ უნდა მოეკლათ?

– აი, სწორედ ესაა საინტერესო. ვიდრე პრემიერი გახდებოდა, ზურა ჯერ სახელმწიფო მინისტრი იყო, დამიბარა და მითხრა, მარო, მინდა, მცირე და საშუალო ბიზნესის ფონდი გავაკეთო, რომელსაც შენ უხელმძღვანელებო. ვიკითხე, ფონდს ვინ დააფინანსებდა. „იბიარდი“ დაგვპირდა, თუმცა როგორც მერე გაირკვა, თანხების გამოყოფა ზაფხულამდე გადასწიეს და ამასობაში, პრივატიზაციაც დაიწყებაო.

სხვათა შორის, ზურასთან, კანცელარიაში, ხშირად მივდიოდი. ვაშლიჯვარში, როცა თვითონ არ იყო, ზურას ოთახში არასოდეს შევდიოდით. ერთხელ, კანცელარიაში ვარ, ზურა მიშასთანაა ასული და ვხედავ, ბალაგანია – კობა ხარშილაძე ზურას კაბინეტში შედი-გამოდის. ამის შესახებ ზურას ვუთხარი, კაცი სახელმწიფო მინისტრი ხარ და ეს რა ხდება-მეთქი. უსიამოვნო ლაპარაკი კობა ხარშილაძესთანაც მქონდა, ქალბატონო მარინა, ზურას რატომ უთხარითო. კი არ ვუთხარი, მაინტერესებს, დაცვის უფროსი ხარ და რატომ უშვებ, რომ ვისაც უნდა, შედის და გამოდის-მეთქი. მოკლედ, ისე გააკეთეს, რომ ზურასთან, კანცელარიაში აღარ მივსულიყავი...

ზურამ ჯერ ეკონომიკის მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, ამას სხვა ცოდნა სჭირდება-მეთქი. ვინაიდან ინგლისური კარგად არ ვიცი, ტურიზმის დეპარტამენტის უფროსობაზეც უარი ვთქვი, თუმცა მოადგილეობაზე თანახმა ვიყავი, მაგრამ არც ეს გამოვიდა ანუ რაკი არსად დამნიშნა, ყველას ეგონა, რომ ზურაზე ნაწყენი უნდა ვყოფილიყავი...

ზურამ დამირეკა და მითხრა, მარო, სახელმწიფო შპს-ს ვაკეთებთ, პროფკავშირებიდან ქონება მოგვაქვს, ამ შპს-ს დირექტორად გნიშნავთ და ხვალ ბენდუქიძეს შეხვდებიო.

– ამ დროს ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრია, არა?

– დიახ, ადეიშვილი კი – გენერალური პროკურორი...

– ბენდუქიძეს შეხვდით?

– დიახ, ნორმალურად შემხვდა. სხვათა შორის, ზურამ ტელეფონზე ისიც მითხრა, ბენდუქიძეს რომ შეხვდები, მერე შენი მოსაზრება მითხარიო. ეს რომ არ ეთქვა, შეიძლება, ეს თემა აღარ განმევითარებინა და პირდაპირ ამ შპს-ს დირექტორად დავმჯდარიყავი. ერთი სიტყვით, ბენდუქიძემ ეკონომიკის სამინისტროსა და პროფკავშირებს შორის ხელმოწერილი მემორანდუმი მომცა, სადაც, დაახლოებით, 250 მილიონის ქონებაზე იყო ლაპარაკი ანუ მთელი საქართველოს კურორტებზე, ამის ჩამონათვალი დღესაც მაქვს. სხვათა შორის, ზურასთვის ნათქვამი მქონდა, რომ ჩვენი ეკონომიკის გზა ტურიზმი კი არა, კურორტოლოგიაა, რადგან ტურისტზე მეტ ფულს, დასასვენებლად ჩამოსული ხალხი ტოვებს...

ბენდუქიძის მიერ მოცემულ მემორანდუმს გადავხედე და აღმოვაჩინე, რომ სანატორიუმების უმეტესობაში ლტოლვილები ცხოვრობდნენ. იდეა გამიჩნდა, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში, ამდენი მიტოვებული სოფელია. ჰოდა, ლტოლვილებს, სანატორიუმებიდან გამოსახლების სანაცვლოდ, ფული კი არ მივცეთ, არამედ, ამ სოფლებში დასახლება შევთავაზოთ-მეთქი, თან ქვეყანა ხომ ძლიერ სოფელზე დგას, თუმცა ბენდუქიძე, როგორც გაირკვა, სხვანაირად ხედავდა. ამ იდეის შესახებ ჟვანიასაც ვუთხარი, ზურა, სახელმწიფო შპს გასაგებია და ისიც მესმის, რომ პრივატიზაციის 70 პროცენტი სახელმწიფოსი იქნება, 30 კი – პროფკავშირების, მაგრამ დანარჩენი ქონება განადგურდება. ამიტომ, მოდი, ფონდი გავაკეთოთ, სადაც შემოსავლებიდან ლტოლვილებისთვის რაღაც თანხა შევა და ამ თანხით სოფლებში სახლებს ვუყიდით, თან შევისწავლით, რომელ რეგიონში, რა არის განვითარებული. მაგალითად, იმერეთში ტყემალი და დაფნა მოდის,

ჩაბარების პუნქტი ან სახელმწიფო ქარხანა გავხსნათ, სადაც ლტოლვილებს დავასაქმებთ-მეთქი...

– ჟვანიასთვის თქვენი იდეა მისაღები აღმოჩნდა?

– მითხრა, მარო, რა ჭკვიანი ხარ, „სვეცკი“ კი მყავხარ, მაგრამ შენი რენომე ლტოლვილებთანაც გამოდგება და მათი ხმები მომავალში დამჭირდებაო.

– ანუ, ეს საუბარი ჟვანიასთან, გარდაცვალების წინა დღეებში გქონდათ?

– არა, 2004 წლის გაზაფხულზე.

– მაშასადამე, 2004 წლის გაზაფხულზე, ჟვანია უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის დაწყებას ფიქრობდა?

– ასპროცენტიანი! ზურა ოპოზიციაში წასვლას აპირებდა!

– თქვენი აზრით, ამიტომ მოკლეს?

– გამორიცხული არაფერია...

– ... ჟვანია ბოლოს როდის ნახეთ?

– აქეთკენ მივდივარ... ბენდუქიძეს ვეუბნები, ლტოლვილები სოფლებში ჩავასახლოთ-მეთქი და მპასუხობს, ქუთაისში კორპუსები ავაშენოთო. ჯერ ერთი, ვიცოდი, რომ სამშენებლო ფირმა ჰქონდა. მეორეც, თუკი ლტოლვილებს ქალაქში დავასახლებდით, ისევ უმუშევრები დარჩებოდნენ. მე კი იმას ვცდილობდი, რომ ეს ხალხი სოფლისთვის მიმება, რათა თავისი მეურნეობა განევითარებინათ, მაგრამ ბენდუქიძეს არ შევეწინააღმდეგე, რადგან ზურასგან დარიგებული ვიყავი, არ გადაიმტეროო.

აი, ზურას ბოლო დღეებამდეც მივედი: ბენდუქიძე რეფორმების სახელმწიფო მინისტრად გადაჰყავს, ეკონომიკის მინისტრად კი ლექსო ალექსიშვილი ინიშნება. 29 იანვარს, პარასკევს, კახა ბაინდურაშვილი მირეკავს და მეუბნება, ეკონომიკის მინისტრად ლექსო ალექსიშვილი დაინიშნა, რომელიც დაგეკონტაქტებათო.

– დაგეკონტაქტათ?

– დიახ, დამირეკა და მითხრა, პრემიერისგან დავალება მაქვს, რომ უნდა შეგხვდეთ, მაგრამ დავოსში მივფრინავ, საიდანაც ორშაბათს ჩამოვალო. შაბათ-კვირას ანუ 30-31 იანვარს, არაფერი მომხდარა, ორშაბათს, პირველ თებერვალს, ლექსო ალექსიშვილი აეროპორტიდან მირეკავს, ერთ საათში, სამინისტროში ვიქნები და თუ შეგიძლიათ, მობრძანდითო. მივედი და ჩემი კონცეფცია გავაცანი. სხვათა შორის, ბენდუქიძე მეუბნებოდა, ადეიშვილი ამბობს, პროფკავშირების ხელმძღვანელი, ირაკლი ტუღუში ქონების გადმოცემაზე თუ არ დაგვთანხმდება, სულ წავართვათო. არ ვიცი, ეს რა თამაში იყო, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ლექსოს ვუთხარი, ამ ეტაპზე, ხელფასი არ მინდა, მთავარია, საქმე დავიწყოთ-მეთქი... იმ საღამოს, ლექსო ალექსიშვილი პრემიერს შეხვდა, სამშაბათს ისევ დამირეკა, ისევ შეხვედრა მთხოვა და მითხრა, რომ ფონდის წესდება იუსტიციის სამინისტროში გადააგზავნა, საიდანაც პასუხი ხუთ სამუშაო დღეში მოვიდოდა და ფონდი მუშაობას დაიწყებდა.

– ყველაფერი ეს, 2 თებერვალს ხდება?

– დიახ... 3 თებერვალს, ღამე კი ზურა იღუპება.

– ყველაფერ ამას, ჟვანიას გარდაცვალებასთან რა კავშირი აქვს?

– არ ვიცი... უბრალოდ, ის მოგიყევით, რაც იყო...

არ ვამბობ, რომ ზურა ზემოხსენებული 250 მილიონი დოლარისთვის მოკლეს, ეს უფრო პოლიტიკური მკვლელობა იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზურას გარდაცვალებიდან ერთ კვირაში, ეს ქონება სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს გადაეცა და არავინ იცის, სად წავიდა. ისიც ფაქტია, რომ ლტოლვილები ამ შენობებიდან გამოყარეს...

იცით, რაში ვარ დარწმუნებული? – ზურა სახლში მიდიოდა, მაგრამ ზარის გამო, გზიდანაა მიბრუნებული.

– ანუ, უსუპოვმა დაურეკა?

– გამორიცხულია, უსუპოვის ზარის გამო ზურა მიბრუნებულიყო. ეს ზარი ზემოდან იქნებოდა. არ ვიცი, რა საქმეზე მიიყვანეს, მაგრამ ეტყობა, თანხმობა არ მისცა. სხვათა შორის, თავის დროზე, ზურა რკინიგზის გაყიდვის წინააღმდეგი წავიდა... მოკლედ, სადაც მიიყვანეს, იქ რაღაც მოხდა და, საერთოდ, მგონია, რომ ტყვიით მოკლეს!

ზურას გარდაცვალება რომ გავიგე, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, სად წავსულიყავი და კანცელარიაში წავედი. უფრო სწორად, ჯერ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედი, მაგრამ პროზექტურაში ვერ შევედი და ვიფიქრე, კანცელარიაში მივალ და ვიკითხავ, რას ვშვრებით-თქო. იქ ერთი ადამიანი ვნახე, რომელმაც ჩაილაპარაკა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემაო. კანცელარიიდან, ზურასთან, სახლში წავედი, სადაც რემა დეიდას, ნინო ქადაგიძისა და ჩემს მეტი არავინ იყო. ხუთ წუთში, ნოღაიდელი მოვიდა, რომელსაც ვუთხარი, კოსტავა რომ მოკლეს და ზვიადი სიტუაციას ვეღარ მართავდა, ახლაც ის დაგვემართა-მეთქი. დამეთანხმა, ზუსტადო...

მახსოვს, ნინო ოთახში ბოლთას სცემდა და ამბობდა, სამი საათი პროზექტურაში რას უკეთებენო. ზურა რომ მოასვენეს, ტუჩზე ნაჭდევი მეც ვნახე... დარწმუნებული ვარ, ეს ემოციის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა არაა. შეიძლება, გათამაშებულია, რომ თითქოს, ემოციის დონეზე მოხდა, მაგრამ ვფიქრობ, დიდხანს იგეგმებოდა, დაწყებული „შეგდებული“ დაცვიდან. მოკლედ, მჯერა, რომ ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მოკლეს და მინდა, გავიგო, რატომ მოკლეს!

– თუკი პრემიერი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა, როგორ ფიქრობთ, მკვლელობაში რამდენი ადამიანი მონაწილეობდა?

– ვფიქრობ, დაცვის გაკეთებული არაა. დაცვამ, უბრალოდ, იცოდა.

– ანუ, დაცვას არ მოუკლავს?

– არ მგონია, შემსრულებული დაცვა ყოფილიყო...

იცით, ერთხელ რა მოხდა? – გაგარინის მოედანზე, შემთხვევით, ძაძამიას შევხვდი და რომ დამინახა, ყველაფერს გეფიცებით, სასტუმრო „სიმპათიასთან“, შესახვევში შევარდა“...

საქართველო – ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინში

მაკა რუხაძე

კვირის ბოლოს გაირკვევა, მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. ხელისუფლებასა და ოპოზიციის დიდ ნაწილში პოზიტიური განწყობაა, რადგან იმედი აქვთ, რომ ქვეყანა კანდიდატის სტატუსსაც მიიღებს და ევროინტეგრაციისკენ სწრაფვაც ახალ ეტაპზე გადავა. თუმცა, ვიდრე ევროკავშირი გადაწყვეტილებას ოფიციალურად გამოაცხადებს, ვნახოთ, დაცულია თუ არა საქართველოში ადამიანის უფლებები, რომელიც პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით მოვამზადეთ.

ადამიანის უფლებები

2022 წლის 5 სექტემბრის განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ მოიწონა ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების სტრატეგია. დოკუმენტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს და 2023 წლის მარტში დამტკიცდა. სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების აღსრულების მიზნით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე.

გარდა ამისა, ფუნქციონირებას განაგრძობს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი უწყებათშორისი პლატფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ბავშვის უფლებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის იმპლემენტაციის ხელშეწყობას. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„2022 წლიდან გაგრძელდა მუშაობა „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰაგის 2007 წლის კონვენციისა და „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“, ჰაგის 2007 წლის ოქმის სავალდებულოდ აღიარებისთვის. 2023 წლის 25 მაისს ხელი მოეწერა „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახური რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰაგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენციასა და „რჩენის ვალდებულებების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ ჰაგის 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმს. შემდეგი ეტაპია დოკუმენტების წარდგენა პარლამენტში, რატიფიცირების მიზნით“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

ანგარიშიდან ისიც ირკვევა, რომ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათშორისი კომისიის ეგიდით შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცდა ორი ცალკე მდგომი ეროვნული სამოქმედო გეგმა: „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს 1325 რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა“.

„საქართველოს მთავრობამ, 2022 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი“ დაამტკიცა. დადგენილების ძირითად მიზანს წარმოადგენს მსხვერპლისთვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის კომპენსირება, როდესაც მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება დანაშაულის ჩამდენი პირისგან ან ანაზღაურდება ნაწილობრივ. აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად გარდაცვლილი მსხვერპლის არასრულწლოვანი შვილის (შვილების) დახმარება, სახელმწიფო კომპენსაციის გაცემით. აღნიშნული წესი თანხვედრაშია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს (ე.წ.სტამბოლის) კონვენციის ვალდებულებასა და „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონთან“.

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2023 წლის პირველი მაისიდან, შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი განახლებული ფორმით ამოქმედდა. სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილების მიზანი ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება და მოძალადეზე ზედამხედველობის კიდევ უფრო ქმედითი მექანიზმის შექმნაა.

არის თუ არა ქვეყანაში დაცული ადამიანის უფლებები – ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიშის მთავარი გზავნილი

რაც შეეხება შშმ პირების უფლებებს, პრემიერის ანგარიშიდან ირკვევა, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მიზნით, არაერთი ღონისძიება ტარდება.

„კერძოდ, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით განხორციელთა შშმ პირთა სოციალური პაკეტის ინდექსაცია. 2023 წლის იანვრიდან შშმ ბავშვების/მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სოციალური პაკეტი შეადგენს 340 ლარს, ამასთან, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შშმ ბავშვები იღებენ გაზრდილ დანამატს, სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №279 დადგენილებით დამტკიცებულ წესში 2022 წელს შესული ცვლილებით, სოციალური პაკეტის მიღების უფლება მოიპოვა ყველა შშმ პირმა, საჯარო საქმიანობის განხორციელების პარალელურად“.

ამავე ანგარიშიდან ვიგებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და არსებული საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული გარანტიების შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა ხანდაზმულ პირთა უფლებების საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ მოწესრიგების საკითხზე. ყოველწლიური დიალოგის ფარგლებში, 2022 წლის ივნისში, საქართველოს დელეგაციამ ევროკავშირის წარმომადგენლებს წარუდგინა ინფორმაცია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ვითარებაზე და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო 2021 წელს გამართული საქართველო-ევროკავშირის დიალოგის შემდგომ მიღწეულ პროგრესს ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის ხელშეწყობის მიმართულებით.

დასასრული მე-8 გვერდზე

საქართველო – ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინში

მე-7 გვერდიდან

სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

პრემიერის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული აქტივობების განხორციელება.

„ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, გრძელდებოდა კომპლექსური ღონისძიებების გატარება ქართული ენის პოპულარიზაციის, შესწავლის შესაძლებლობების გაზრდისა და სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, როგორც ბენეფიციართა სეგმენტისა და გეოგრაფიული დაფარვის გაფართოების მიმართულებით. გაიზარდა სახელმწიფო ენის ბილინგვური მეთოდით სწავლების შესაძლებლობები. საპილოტედ შერჩეულ სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღწეული შედეგების შეფასების საფუძველზე, დაგეგმილია პროგრამის შემდგომი განვითარება“.

საანგარიშო პერიოდში, ინტენსიურ რეჟიმში წარიმართა ადგილობრივი და ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების, ასევე, ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებლების გადამზადების პროცესი, რომლის ფარგლებში, მასწავლებლებისთვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა შესაბამისი საგნობრივი ტრენინგის მოდულები და სასწავლო რესურსები. რაც მთავარია, რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში მივლინებულ იქნა 397 ქართულენოვანი მასწავლებელი. დამატებით, გადამზადდა ქართულის, როგორც მეორე ენის, 518 მასწავლებელი, ხოლო სახელმწიფო ენის კურსში გადამზადნენ ყველა არაქართულენოვანი საჯარო სკოლის მასწავლებლები.

„სახელმწიფო ენის სწავლებისკენ მიმართული ძალისხმევის პარალელურად, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე განათლების უფლება სრულად რეალიზებული და დაცულია, როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე მოქმედ 296 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში/სექტორზე, მათ შორის, უზრუნველყოფილია მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) სწავლება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში“.

პრემიერის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განათლების თითოეულ საფეხურზე. მათ შორის, არაქართულენოვანი სკოლების პირველ-მეცხრე კლასებში ეტაპობრივად დაინერგა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა და განხორციელდა სკოლების უზრუნველყოფა განახლებული სახელმძღვანელოებით ყველა საგანში, რომლებიც აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეა თარგმნილი.

„ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიულ პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე შერჩევის პროცედურის გავლის შემდგომ, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 292 ახალგაზრდა. 30 საჯარო სკოლის ბაზაზე, პროფესიული პროგრამების ამოქმედება ახალგაზრდებს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს პროფესიული განათლების მიღების დამატებით, უნიკალურ შესაძლებლობას შეუქმნის.

მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მიმდინარეობდა სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობა ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე. ასევე, ფუნქციონირება განაგრძო შვიდენოვანმა ვებპორტალმა. რაც შეეხება ყოველკვირეულ გაზეთებს, სომხურენოვანი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ სახელმწიფოს დაფინანსებით გამოიცა“.

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, სამივე რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში 170-ზე მეტი პროექტი განხორციელდა, რომელთა ჯამური ღირებულება 130 მილიონი ლარია.

შრომითი უფლებები

რაც შეეხება შრომით უფლებებს, პრემიერის ანგარიშიდან ირკვევა, რომ გრძელდება მუშაობა შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. საქართველოს მასშტაბით, შრომით ნორმებზე ზედამხედველობისას, 3 755 ინსპექტირება განხორციელდა 1 933 ობიექტზე.

„განხორციელებულმა ინსპექტირებებმა დასაქმებულ პირთა 13.7% ანუ 176 000-მდე დასაქმებული პირი მოიცვა. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს განხორციელებული ინსპექტირებები გაიზარდა 144%-ით, ხოლო შემოწმებული სამუშაო ადგილების რაოდენობა კი – 132%-ით. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, 2018 წლიდან 41%-ით შემცირდა სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა“.

რაც შეეხება 2023 წლის პირველ კვარტალში განხორციელებულ აქტივობებს, სსიპ „შრომის ინსპექციის სამსახურის“ მიერ, „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, შრომით ნორმებზე ზედამხედველობისას, სულ განხორციელდა 814 ინსპექტირება.

შრომითი უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზის გაძლიერებისა და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულების ფარგლებში, ამავე შეთანხმების XXX დანართით განსაზღვრული (ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე) 5 დირექტივის საფუძველზე, მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე დადგენილება, რომლებიც უკავშირდება უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას, მაგალითად: დაცვის პერსონალური საშუალებების გამოყენება, სპეციალური უსაფრთხოების ნიშნები, სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგები და სხვა.

სამართალი

№47 13 დეკემბერი 2023 წ

დიდი სკანდალი ცნობილი ექიმის ოჯახში

სახლიდან მოპარული 12 ათასი და სასიკვდილოდ განწირული რძალი

ბათო ჯაფარიძე

ყოველთვის ასე იყო – საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები მუდმივად ცდილობდნენ სკანდალური თემების მიჩქმალვას, როცა საქმე მათ, ან მათი ოჯახის წევრებს ეხებოდათ. ლოგიკურიცაა – ცნობილი ადამიანების მიმართ საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესია და შესაძლოა, სხვაგან უარესიც ხდება, მაგრამ ადამიანების დიდი ნაწილი ამას, უბრალოდ, ვერ იგებს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენთან არ არის გავრცელებული ე.წ. პაპარაცობა, უფრო ზუსტად, არ არის გავრცელებული იმ დოზით, როგორიც, მაგალითად, ევროპაშია, თორემ მერე გენახათ სკანდალები და საქმის გარჩევები. ევროპაში, ერთ ფოტოში, შესაძლოა, გამოცემამ ასეულობით ათასი გადაიხადოს და საკუთარი ჟურნალ-გაზეთის უზარმაზარი ტირაჟი გაყიდოს, ჩვენთან კი ათას ლარსაც არავინ მოგცემს იმიტომ, რომ უზარმაზარი ტირაჟით გაზეთი მაინც არ გაიყიდება და საკმარისია, ფოტო სოციალურ ქსელში მოხვდეს, მთელ ტირაჟს სწორედ ის გადაყლაპავს.

„მეგობარი ექიმი მოვიდა ჩემთან, მითხრა, გახმაურება არ მინდა, მაგრამ სახლიდან ფული დავკარგე და ეჭვი მაქვს, ჩემმა შვილმა წაიღო. მილიციაში რომ წავიდე, კი იცი, საქმეს აღძრავენ და დაიჭერენ, ასე კი... იქნებ, დაელაპარაკო, 12 ათასი მანეთი არაა ცოტა, თან ეგ ფული კვლევებისთვის მჭირდებოდა და არა – სხვა რამისთვის. ახალი პრეპარატი მაქვს ჩამოტანილი, კიდევ კარგი, მათი ფასი არ იცის და ისინი არ წაიღო, თორემ სულ დავიღუპებოდიო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ექიმის ბინის გასაღები თვითონ, შვილს – პირველი ქორწინებიდან, შვილს – მეორე ქორწინებიდან და დამხმარე ქალს ჰქონდათ. დამხმარე ქალი და უფროსი შვილი ექიმმა მაშინვე გამორიცხა, უფროსი წესიერია, ჩემთან მუშაობს, შემოსავალი არც მას აკლია და თანაც, იმ თანხაში მისი წილიც იყო. იცოდა, კვლევებისთვის რომ გვჭირდებოდა და ხელს არ მოკიდებდა, გამოვიდოდა, რომ თავის თავს მოპარა ფულიო. დამხმარე ქალი, 20 წელზე მეტი იყო, ექიმთან მუშაობდა და არასოდეს მომხდარა, რომ სახლიდან რამე დაკარგულიყო. 12 ათასი კი არა, მეტიც მქონია და ხელი არ უხლია, ახლა რა გადარევდაო, ამბობდა ექიმი და ალბათ, მართალიც იყო. აი, მეორე ქორწინებიდან შვილი რომ ჰყავდა, მას ვერაფერი მოუხერხა. 23 წლის იყო, მუდმივად შარში ეხვეოდა, ამასთან, კარტსაც თამაშობდა, ხშირად აგებდა და მამასთან მხოლოდ მაშინ მიდიოდა, როცა ფული სჭირდებოდა. ფული კი, ყოველთვის არ იყო და ამიტომ, ექიმი ვარაუდობდა, რომ თანხა სწორედ უმცროსმა შვილმა მოიპარა.

გამომძიებელმა აგენტურული ქსელი აამუშავა და მალევე გაიგო, რომ ბიჭს მართლაც ჰქონდა წაგებული, დაახლოებით, 7 ათასი მანეთი და მამას ხურდას ხომ არ დაუტოვებდა, რაც ნახა, წაიღო. ახლა, მთავარი იყო მისი მოძებნა, რადგან დარჩენილი ფული მაინც გამოერთმია, თორემ იმასაც წააგებდა და ვალი რომ გასტუმრებული ექნებოდა, ბატონ თენგიზს ეჭვიც არ ეპარებოდა. ისევ აგენტურულმა ქსელმა იმარჯვა და მისი ადგილსამყოფელი ასწავლა მაძებარს. ეს იყო ბუნაგი, სადაც ახალგაზრდები ბანქოს ფულზე თამაშობდნენ. გამომძიებელმა თან უბნის რწმუნებული და ორი ოპერმუშაკი წაიყვანა. რა თქმა უნდა, ყველაფერს არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა, ბიჭები მკაცრად გააფრთხილეს, რომ ანალოგიურის განმეორების შემთხვევაში, მათ პასუხისმგებლობას დააკისრებდნენ. აი, ექიმის შვილთან კი, გამომძიებელს ცალკე სასაუბრო ჰქონდა და მას მხოლოდ 4 500 მანეთი ჰქონდა შერჩენილი, რომელიც ჩამოართვა და მეგობარ ექიმს დაუბრუნა. მან თავში კი წაიშინა ხელები, მაგრამ რა უნდა ექნა, ხომ არ ეტყოდა, ჩემი შვილი დააპატიმრეთო?

ისტორია თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად – იმავე ექიმმა მეგობარ გამომძიებელს ისევ დაურეკა და ამჯერად, საავადმყოფოში მისვლა სთხოვა.

„ჩემი რძალია ავად, რთული დაავადება აქვს და ახალი პრეპარატით ვმკურნალობ, იმ პრეპარატით, რომელიც ევროპაში გამოიყენება, ჩვენთან – არა. აქამდე იდეალური შედეგები გვქონდა, ახლა კი, მორიგი გადასხმა გავუკეთე და კომაში ჩავარდა. მჯერა, გადავარჩენ, მაგრამ ასეთი რეაქცია წამალზე არ უნდა ჰქონოდა, მეხუთედ ვუსხამ და წინა ოთხი შემთხვევა კარგად დასრულდა. ამიტომ, სითხეს ანალიზი ჩავუტარე და აღმოჩნდა, რომ მასში სხვა პრეპარატი იყო შეყვანილი. შემდეგ, ის „ბალონი“ შევამოწმე და ორი ნანემსარი ვნახე. ერთი ჩემი გაკეთებულია, ჰაერი რომ შესულიყო, მეორე კი, სავარაუდოდ, იმიტომ გააკეთეს, რომ ის სითხე ჩაესხათ, რომელმაც კომა გამოიწვია. მიშველე, ამ ამბის გახმაურება ჩემთვის სიკვდილია, რძალს კი გადავარჩენ, მაგრამ ვიღაცა მის მოკვლას შეეცადა და მისი მოკვლით, ჩემი კარიერის დასასრულიც გარანტირებული იყო“, – მოთქვამდა ექიმი.

ამჯერად, გამომძიებელმა მეგობარს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ განცხადება დაეწერა, რადგან ეს არ იყო სახლიდან ოჯახის წევრის მიერ ფულის მოპარვა, ეს მკვლელობის მცდელობა იყო, რასაც ოფიციალური სახე უნდა მისცემოდა, გამოძიებაც ოფიციალურად უნდა დაწყებულიყო. მეტიც, ბატონ თენგიზს ეს რომ არ გაეკეთებინა, დანაშაულის დაფარვის თანამონაწილე ხდებოდა, რისთვისაც თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა. თავის მხრივ, გამომძიებელი მეგობარს დაპირდა, რომ საქმეს თავად გამოიძიებდა და ნებისმიერ უხერხულ მომენტს მაქსიმალურად გააკეთილშობილებდა.

„დიდი ხანია, მეუღლე ავადმყოფობს. ჰყავს თუ არა მას მტრები? დაახლოებით, სამი წელია, პრაქტიკულად, კონტაქტი არავისთან ჰქონია, ერთი დაქალი მოდიოდა ხოლმე მხოლოდ და ისიც ორი თვეა, აფრიკაშია მივლინებით. ვის აწყობდა მისი სიკვდილი? არ ვიცი, ვერ ვხვდები... ის ჩემი შვილების დედაა, ყველაფერს ვაკეთებდი მის გადასარჩენად და რა თქმა უნდა, მჯეროდა, რომ პრეპარატი, რომელსაც მამაჩემი შოულობს, უშველიდა. შედეგიც გვქონდა და რაც მთავარია, იმ დღეს, სწორედ მამამ მოიტანა სახლიდან გადასასხმელი სითხე, მას ჰქონდა კაბინეტში, მანვე შემოიტანა და თავად დადგა სისტემა. ამის შემდეგ, მე ოპერაციაზე შევედი და რომ გამოვედი, ეს ამბავი დამხვდა ანუ ვიღაც მანამ შევიდა ჩემი ცოლის პალატაში, სანამ მე ოპერაციას ვაკეთებდი“, – ამბობდა ექიმის უფროსი შვილი და სიმწრით თმებს იგლეჯდა.

თავად ექიმი ყველაფერ ამას ადასტურებდა და იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ სითხეში წამალი მას შემდეგ შეიყვანეს, რაც მისი რძალი ოთახში მარტო დარჩა, მაგრამ რატომ არ ჰქონდა რეაქცია, როცა ვიღაც პალატაში შევიდა, შპრიცი მოიმარჯვა და ვენაში შეუშხაპუნა? გამოდის, ავადმყოფმა პალატაში შესული იცნო და თან ისე ენდობოდა, რომ ეჭვიც არ გასჩენია, გადასხმის სისტემასთან ისე მიუშვა. გამოდიოდა, რომ დამნაშავე სწორედ საავადმყოფოს პერსონალს შორის უნდა ეძებნათ. ვერც მთავარმა ექიმმა და ვერც მისმა შვილმა ეჭვი ვერავისზე მიიტანეს. ყოველ შემთხვევაში, ორივე ამბობდა, რომ მედპერსონალიდან პაციენტს სასიკვდილოდ არავინ გაიმეტებდა და ერთადერთი იმედი ქალის კომიდან გამოსვლა იყო, რათა ეთქვა, ვინ გაურია სამკურნალო სითხეში პრეპარატი, რომელსაც წესით, სიკვდილი უნდა გამოეწვია, მაგრამ როგორც კი პაციენტი გაითიშა, მთავარი ექიმის მითითებით, სისტემა გამოურთეს და რეანიმაციული პროცედურები დაიწყეს. ექიმი პირობას დებდა, რომ ქალს კომიდან გამოიყვანდა, რაც მთავარია, პალატაში შესვლა ყველას აუკრძალა, გასაღებით დაკეტა და რძლის მკურნალობას მხოლოდ თავად აკონტროლებდა.

მართლაც, მისი მოლოდინი გამართლდა და სამ დღეში, ქალი კომატოზური მდგომარეობიდან გამოვიდა, მეოთხე დღეს კი, ექიმმა გამომძიებელს უფლება მისცა, ქალი 3 წუთით დაეკითხა და ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო.

„როცა დაკითხვაზე შევედი, ქალმა გამიღიმა, კითხვის დასმა არ დამაცადა, ისე მითხრა ერთ-ერთი ექთნის სახელი და გვარი, რომელიც მეცნო და როგორც ვიცოდი, ყველაზე მეტად, მამა-შვილი სწორედ მას ენდობოდა. პალატა მაშინვე დავტოვე, ექთანი მოვიკითხე და მითხრეს, დღეს სამსახურში არ მოსულა, დარეკა და სიცხე მოიმიზეზაო. მის დასაკავებლად პირადად წავედი, მაგრამ სახლში არ დამხვდა“, -გვიყვება ბატონი თენგიზი.

მესამე დღეს, ეჭვმიტანილი სხვა ქალაქში დააკავეს და დასაკითხად დედაქალაქში ჩამოიყვანეს.

„დიდი ხანია, მე და მთავარი ექიმის შვილს ერთმანეთი გვიყვარს. ის მპირდებოდა, როცა ცოლი გარდაიცვლება, შენ შეგირთავო და მეც ამ დღეს ველოდი. სისასტიკეა? შეიძლება, მაგრამ მე ის მიყვარს. მერე, ისე მოხდა, რომ ექიმმა რაღაც ახალი პრეპარატი იშოვა და დავრწმუნდი, რომ ქალი გამოჯანმრთელდებოდა. ამიტომ, მოქმედება გადავწყვიტე და მოხდა ის, რაც მოხდა“, – განაცხადა დაკითხვაზე ექთანმა და ექიმის შვილმაც აღიარა, რომ მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

ექიმმა რძალი გადაარჩინა, გამოაჯანმრთელა, მაგრამ მან გადამრჩენელის შვილთან ცხოვრება მაინც აღარ ისურვა, დაშორდა და... ბიჭმა ექთანი ცოლად ვერ თუ არ მოიყვანა, რადგან მას მკვლელობის მცდელობისთვის, 6-წლიანი სასჯელი ჰქონდა შეფარდებული.

62 წლის ბიზნესმენისა და 24 წლის ქალის კრიმინალნარევი სიყვარულის ისტორია

„სამანიშვილის დედინაცვლის“ თანამდროვე ვერსია

ბათო ჯაფარიძე

„სამანიშვილის დედინაცვალი“ წაკითხული თუ არა, ნანახი მაინც ექნება მკითხველთა უმრავლესობას. ბეკინა და პლატონ სამანიშვილების ისტორია, ერთდროულად, სასაცილოც არის და ტრაგიკულიც და ნათლად ასახავს იმ ყოფას, რომელშიც ე.წ. შემოდგომის აზნაურები იყვნენ. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა და ხმაური იმიტომ არ მოჰყოლია, რომ სამართალდამცავებმა კრიმინალის ნიშნები ვერ ნახეს. არადა... შესაძლოა, არც ნახეს, რადგან მთავარმა „დაზარალებულმა“ ჩივილი არ ისურვა.

სამართალდამცავებს ახალგაზრდა ქალმა მიმართა და განაცხადა, რომ კაცი, რომელთანაც მომვლელად მუშაობდა, უბრალოდ, გაქრა. საინტერესო ის გახლდათ, რომ მამაკაცს ჰყავდა ქალიშვილი, სიძე, შვილიშვილები, მაგრამ მათ პოლიციისთვის არ მიუმართავთ. ამასთან, მამაკაცი არ იყო რიგითი ადამიანი, უზარმაზარი სამშენებლო ბიზნესი ჰქონდა და მის ანგარიშზე რამდენიმე მილიონი ირიცხებოდა. დაკარგული 62 წლის იყო, ბიზნესს ნელ-ნელა შორდებოდა და ყველაფერი ქალიშვილისთვის ჰქონდა გადაბარებული, რომელიც საქმეებს ურიგოდ ნამდვილად არ უძღვებოდა და ყველა ამბობდა, რომ მამაზე უკეთესი მმართველი იყო. უკეთესი არა ხასიათით, ან თანამშრომლებთან მიდგომით, არამედ, ბიზნესის კუთხით. ის არ დებდა გარიგებას, რომელიც სერიოზულ სარგებელს არ მოუტანდა, ბიზნესის მიმართებით არ ინდობდა არავის, სამსახურში არ აჰყავდა ნათესავები და მეგობრები, მკაცრად სთხოვდა პასუხს ყველას, მაგრამ იმავდროულად, კარგად იხდიდა ანუ კარგი პირობები ჰქონდა, თუმცა უმკაცრესი მოთხოვნები.

სამართალდამცავებმა დაკითხვაზე სწორედ დაკარგულის ქალიშვილი დაიბარეს, რომელიც ძალიან გაბრაზდა, როცა უთხრეს, რომ დამხმარემ შეიტანა განცხადება.

„ვინ ჰკითხავს მას, სად არის მამაჩემი? ჩემზე მეტად უყვარს? სხვის საქმეში რატომ ერევა? მე არ ვაღიარებ, რომ მამაჩემი დაიკარგა, არც იმას ვაღიარებ, რომ მას რამე საფრთხე ემუქრება და განცხადებას არ ვეთანხმები. არ ვაპირებ იმის ახსნას, სად არის მამა, ის კარგად არის და შემეშვით“, – ყვირილით დატოვა ქალმა განყოფილება და ზუსტად ნახევარ საათში, გამომძიებელს დამხმარე გოგონამ დაურეკა, სწორედ მან, ვინც განცხადება დაწერა და ტირილით განაცხადა, რომ იმ კაცის შვილმა, ვისაც უვლიდა, სამსახურიდან გააგდო.

სამართალდამცავებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ერთი მხრივ, ოჯახის წევრი ამბობდა, რომ არავინ დაკარგულა და კაცს საფრთხე არ ემუქრებოდა, მეორე მხრივ, დამხმარე გოგონა ტიროდა, დაიკარგა, არც სახლშია და ტელეფონიც გათიშული აქვსო. გადაამოწმეს საავადმყოფოები, მაგრამ მამაკაცი არსად იყო. სამსახურიდან გაშვებულმა გოგონამ სოფელს მიაშურა, წავიდა იქ, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, რადგან უსამსახუროდ დარჩენილს, დედაქალაქში ცხოვრება გაუჭირდებოდა. მას ბინაც არ ჰქონდა ნაქირავები, იმ კაცთან ცხოვრობდა, ვისაც ეხმარებოდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გოგონა 24 წლის იყო, ხოლო მამაკაცი – 62-ის, არავინ ფიქრობდა, რომ მათ შორის, შესაძლოა, რამე მომხდარიყო. საავადმყოფოების შემდეგ, გადაამოწმეს მორგებიც, მაგრამ მამაკაცი ვერც იქ იპოვეს. ამის მიუხედავად, გამქრალი მამაკაცის შვილზე თვალთვალი დააწესეს, მაგრამ ის სახლსა და სამსახურს შორის მოძრაობდა და ისე იქცეოდა, თითქოს მამამისი არც დაკარგულა. არადა, ძალოვნებმა გადაამოწმეს და ყველამ დაადასტურა, რომ კაცი უბრალოდ გაქრა, არ ჩანდა და რაც მთავარია, დუმდა მისი ტელეფონი. ქალი დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაიბარეს, მაგრამ ისევ მშვიდად თქვა, მე არავინ დამიკარგავს, ზუსტად ვიცი, სად არის მამაჩემი, არ ვაპირებ თქმას და იმის გამო, რომ ვიღაც გომბიოს ინტერესი დავაკმაყოფილო, არ მსურს, ოჯახური ამბები გავახმაუროო.

სავარაუდოდ, ქალი მიხვდებოდა, რომ მას არა მარტო უთვალთვალებდნენ, არამედ, ტელეფონზეც უსმენდნენ და ამიტომ, ყველაფერს აკეთებდა, რათა მამის ადგილსამყოფელი არ გაეთქვა. სამართალდამცავებმა სატელეფონო ანძებით გადაამოწმეს და დაადგინეს, რომ გაქრობამდე რამდენიმე საათით ადრე, მამა-შვილი სასაფლაოზე იმყოფებოდა. კაცმა გადაწყვიტა, გარდაცვლილი ცოლის საფლავი მოენახულებინა, შვილიც თან გაჰყვა და სწორედ სასაფლაოზე ითიშებოდა ტელეფონი, რაც მთავარია, ითიშებოდა ორივე ნომერი. მერე მხოლოდ ქალის ნომერი ჩაირთო და ისიც მაშინ, როცა ის სახლს მიუახლოვდა. კითხვაზე, რატომ გაითიშა ორივე ტელეფონი ერთდროულად, ქალმა მშვიდად მიუგო, ალბათ, დაჯდა, გვიან შევნიშნეო. სასაფლაოს ტერიტორია გულდასმით დაათვალიერეს, გამოკითხეს მესაფლავეები, მაგრამ მათ საეჭვო არაფერი უნახავთ. ასევე, არ იყო ისეთი ახალი საფლავი, რომელსაც შეიძლებოდა, სამართალდამცავებში ეჭვი გამოეწვია. ერთადერთ იმედად ის რჩებოდა, რომ ადრე თუ გვიან, ქალი მამას აუცილებლად ნახავდა და სწორედ ეს არ უნდა გამოპარვოდა პოლიციას. უფრო სწორად, ნახავდა, თუ ის ცოცხალი იყო.

ასე გავიდა, დაახლოებით, ერთი კვირა და სწორედ კვირის თავზე, ოპერმუშაკებმა გამომძიებელს ამცნეს, რომ ქალი ერთ-ერთ კერძო კლინიკაში მივიდა და იქ საათზე მეტხანს დაჰყო. გამომძიებელი კლინიკის მთავარ ექიმსა და ადმინისტრაციულ დირექტორს დაუკავშირდა, შეხვედრა დაუთქვა და ისიც კლინიკაში მივიდა.

„დიახ, ასეთი პაციენტი ჩვენთან წევს და მისი შვილის თანხმობით, არ გავახმაურეთ, ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. ეს კაცი არ არის რიგითი ადამიანი, შვილმა მითხრა, მისი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია რომ გავრცელდეს, როგორც ბიზნესს, ისე მის რეპუტაციას ავნებს და ამიტომ, საიდუმლოდ შევინახოთო. ჩვენც დავთანხმდით და ვემზადებით, რომ ის კლინიკიდან გავწეროთ. ეს კი, დაახლოებით, სამ-ოთხ დღეში მოხდება. ის ჩვენთან შვილმა გულის შეტევით მოიყვანა“, – განაცხადეს მედიკოსებმა.

გამომძიებელმა ავადმყოფის ნახვა მოისურვა და პრობლემა არ შექმნია – ის პალატაში შეუშვეს, სადაც აშკარად გამოჯანმრთელებული და მომღიმარი „გაუჩინარებული“ კაცი დახვდა.

„სასაფლაოზე წავედი, ცოლს ბოდიში მოვუხადე. როცა ის კვდებოდა, პირობა მივეცი, რომ ცოლს არასოდეს შევირთავდი და ამ პირობას პირნათლად ვასრულებდი. კი მქონდა ქალებთან ურთიერთობა, მაგრამ ეს უფრო ბიოლოგიური კავშირები იყო, ვიდრე რამე გრძნობა. ახლა კი... ახლა შემიყვარდა და შემიყვარდა, როგორც მოზარდს. ამიტომ, ცოლს მივაკითხე და ბოდიში მოვუხადე. როცა ჩემმა ქალიშვილმა გაიგო, რას ვაპირებდი, კინაღამ გაგიჟდა, აქამდე ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამს, ახლა კი, ბებერი და ყეყეჩი მეძახა. სწორედ მაშინ გავხდი ცუდად და შვილმა აქ მომიყვანა. ამ მადლიანმა ხალხმა კი მიმკურნალა, ფეხზე დამაყენა და ერთი სული მაქვს, აქედან როდის გავალ და რაც მთავარია, როდის მომცემენ ტელეფონით სარგებლობის უფლებას. თურმე, ამ ეტაპზე, ჩემთვის მობილურის გამოსხივება საზიანოა და არ შეიძლება“, – განაცხადა მამაკაცმა.

გამომძიებელმა ისიც გაარკვია, რომ მისი სიყვარულის ობიექტი... დამხმარე გოგონა იყო, რომელსაც თავიდან ყურადღებას არ აქცევდა, აქაოდა, ჩემი შვილიშვილის ტოლიაო, მერე და მერე კი, გრძნობა გაჩნდა. წინააღმდეგი გოგონაც არ ყოფილა, მეც მომწონხართ, მაგრამ ვერ გიმხელდითო და ასე დაიწყო 38-წლიანი სხვაობის ადამიანებს შორის ურთიერთობა, რომელიც ქორწინებით უნდა დასრულებულიყო. ახლა გასაგებია, რატომ ცდილობდა „ბიზნესვუმენი“, რომ დამხმარე გოგონა მანამ მოეშორებინა, სანამ მამა საავადმყოფოში იმყოფებოდა, მაგრამ ისე ჩანდა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. კაცმა ისიც აღიარა, ჩემი სიყვარული ფეხმძიმედ არის და ბიჭს ველოდებით, ჩემი ოცნება ახდებაო. როგორც ჩანს, ესეც იცოდა მისმა ქალიშვილმა და ქონებაში მეწილის გამოჩენა დიდად არ სიამოვნებდა.

ასე იყო თუ ისე, კაცი საავადმყოფოდან გამოვიდა და პირველ რიგში, სწორედ დამხმარე გოგონა იპოვა. შვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქორწინებაზე განაცხადი შეიტანა და დაქორწინდა კიდეც, ხოლო როცა ბავშვი დაიბადა... მისმა ქალიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა, დნმ-ანალიზი ჩატარებულიყო იმის დასადასტურებლად, მართლა მისი ნახევარძმა იყო თუ არა ახალშობილი. ბავშვის მამა თავიდან კატეგორიული წინააღმდეგი იყო, ჩემს ცოლს ვენდობიო, მაგრამ შემდეგ დაითანხმეს და დნმ-ანალიზი გააკეთეს. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ელოდა ამ დასკვნას ყველა მხარე. დასკვნაში კი, შავით თეთრზე ეწერა, რომ პატარა ბიჭის მამა, სწორედ 62 წლის ბიზნესმენი იყო და მის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

შემდეგ დაიწყო გრძელი სასამართლო პროცესი, ქალი თავისას ითხოვდა და მიიღო კიდეც – მამამ მას ქონების უდიდესი ნაწილი დაუთმო, სანაცვლოდ, ნახევარძმასთან ურთიერთობას სთხოვდა, მაგრამ ქალიშვილმა სურვილი არ შეუსრულა და ბიჭს ძმად არ აღიარებდა.

ბათო ჯაფარიძე

ბებია – ეს არა მარტო ქართული ფენომენია. მაგალითად, ნოდარ დუმბაძის რომანის – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – მიხედვით გადაღებულ მხატვრულ ფილმში, სესილია თაყაიშვილმა გააცოცხლა გმირი, რომელიც ყველას ბებიად იქცა. ლეგენდარულმა მსახიობმა მართლაც უზადოდ შეასრულა ოლღა ბებიას როლი და თაობებს დაუტოვა. სამწუხაროდ, სესილიას გმირის დარი ბებიები სულ უფრო ცოტანი არიან დღევანდელ რეალობაში, მაგრამ არსად წასულან პენსიონერი ანუ ქალაქელი ბებიები, რომლებიც კორპუსის წინ ისხდნენ და ზუსტად იცოდნენ, ვინ რითი სუნთქვადა, ვის ვინ მოსწონდა თუ უყვარდა, ვინ სძულდათ და საერთოდ, მათ ყველაფერი უბნის რწმუნებულებზე კარგადაც კი იცოდნენ. მათი ჩვენების საფუძველზე, არაერთი საქმე გახსნილა და მათი მონაყოლი არაერთხელ გამხდარა მთავარ მტკიცებულებად დანაშაულებში. ამასთან, ბებიებმა დაქალობაც იციან, თავისი თაობის, თავისი ასაკის ქალებთან ჭიქა ყავის (თუ ამის უფლებას ჯანმრთელობა აძლევს), ან ჩაის დასალევად დადიან, ეზოში მზესუმზირას აკნატუნებენ და როცა „დაქალი“ ასაკის გამო უკვდებათ, ოჯახის წევრებზე ნაკლებად არ დარდობენ.

როგორ შემოაკვდა ახალგაზრდა მამაკაცს საცოლის ბებია

„ჩემი დაქალი მოკლეს... ის თავს არ მოიკლავდა“

„ჩემი დაქალი მოკლეს. ჰო, მოკლეს, ის თავს არ მოიკლავდა“, – ასეთი ტექსტით შევარდა პოლიციის განყოფილებაში ქალბატონი, რომელიც პირველივე თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა, ჩანთიდან ვალიდოლი ამოიღო, ენის ქვეშ ამოიდო და ხმამაღლა იკითხა – „სად ვნახო პროკურორი?“ სამართალდამცავებმა მისი დამშვიდება დააპირეს და მწარედაც ინანეს – „მე რას მამშვიდებთ, ქუჩაში მკვლელი დასეირნობს, თქვენ კიდევ მე მეუბნებით, ნერვებს ნუ იშლიო!“ – ყვიროდა მოულოდნელი სტუმარი და ძალოვნები იძლებულნი იყვნენ, ის რიგითი მორიგე გამომძიებლის ოთახში შეეყვანათ. გამომძიებელმა აფორიაქებულ ქალს მშვიდად შეხედა, შემდეგ წინ ქაღალდი დაუდო და უთხრა, თუ გნებავთ, დაწერეთ, თუ გნებავთ, მომიყევითო და ქალმა ქაღალდი ხელის ერთი მოქნევით მოისროლა, ემოციებს ფურცელზე ვერ დავტეევო.

„ჩემი დაქალი, ჩემი ბავშვობის მეგობარი გარდაიცვალა. 82 წლის იყო, სკლეროზი ჰქონდა, მაგრამ მე მცნობდა და ეს იყო მთავარი. წლების წინ, სიძე სახლში ჩაუსახლდა, გოგონა გარდაეცვალა და სწორედ სიძე უვლიდა, უფრო სწორედ, ვიღაც ქალი მოათრია და ის უვლიდა. ჰოდა, სავარაუდოდ, ის ქალი მოეწონა, მისი ცოლად შერთვა უნდოდა, მაგრამ სანამ სიდედრი ცოცხალი იყო, ამას ვერ გააკეთებდა. ჰოდა, მოკლა და დარწმუნებული ვარ, ახლა ცოლსაც მოიყვანს“, – არ ჩერდებოდა ქალი.

როცა გამომძიებელმა აუხსნა, რომ განცხადების დაწერის გარეშე, საქმის აღძვრა ვერ თუ არ მოხდებოდა, ქალმა ინება და ხელში კალამი აიღო. საქმე აღიძრა და პირველ რიგში სიძე დაკითხეს.

„სისულელეა იმის მტკიცება, თურმე, სიდედრის მოკვლა და ცოლის მოყვანა მსურს. იმით დავიწყებ, რომ მე არავის მოყვანა არ მინდა და რომ მომეყვანა, სიდედრი ხელს ნამდვილად ვერ შემიშლიდა, სკლეროზი აქვს და ვერავის ცნობს, ვერც – მე, ვერც – ჩემს შვილებს, მხოლოდ მეზობელს, ბავშვობის დაქალს და ის თუ ეტყოდა, შენმა სიძემ ცოლი მოიყვანაო, ორ წუთში მაინც არ ემახსოვრებოდა. მძიმე ფორმებში ჰქონდა დაავადება. რაც შეეხება მის მომვლელს, ვინც განცხადება დაწერა, ალბათ, დაავიწყდა ეთქვა, რომ ეგ ქალი, სწორედ მისი მითითებით ავიყვანე. მანამდე ვინც მყავდა, ყველა დაიწუნა, ჩემს დაქალს სათანადოდ ვერ უვლიანო. ახლა ესეც აითვალწუნა. რა ცოლად მოყვანა, ქალს ქმარ-შვილი ჰყავს, წესიერად ორჯერაც არ მყავს ნანახი, სულ სიდედრის ოთახშია, მე კიდევ იქ არ შევდივარ. რაც შეეხება სიკვდილის მიზეზს, ისეთი ლაქები ჰქონდა, ექიმი მე გამოვიძახე, დავინტერესდი, რა მოხდა და ექსპერტიზამ დაადგინა, რომ წამლის გადაჭარბებული დოზა მიუღია. მე რომ მომეკლა, როგორ გგონიათ, ექსპერტებს დავუძახებდი? რაც შეეხება წამალს, აბები რეცეპტით იყიდება და მხოლოდ ჩემს ქალიშვილსა და მომვლელს აქვთ ანუ თუ მომვლელია სახლში, ის ასმევს, თუ არა – ჩემი უმცროსი ქალიშვილი. იმ დღეს ჩემმა გოგონამ დაალევინა, მე ღამის ცვლაში ვიყავი და სამართალდამცავებმა აბებიც შეამოწმეს, ჩემს გოგონას ზუსტად იმდენი ჰქონდა, რამდენიც უნდა ჰქონოდა ანუ გამოვიდა, რომ აბები რაღაცნაირად მოხვდა მის ხელში, მაგრამ როგორ? მე მაქვს ვერსია, რომ ის არ სვამდა, აგროვებდა და ერთად დალია, რას გაუგებ სკლეროზიან ადამიანს?“ – განაცხადა სიძემ.

მართლაც, ექსპერტიზის დასკვნით, ქალი სწორედ იმ აბებით იყო გარდაცვლილი, რომელსაც იღებდა ანუ ჭარბი დოზა მიიღო, მაგრამ მის შვილიშვილსაც და მომვლელსაც აბების ის ოდენობა ჰქონდათ, რამდენიც უნდა ჰქონოდათ, გამოდიოდა, რომ ვიღაცამ აბები სპეციალურად მიიტანა და მოხუცს ტუმბოზე დაუდო, მან კი დალია, რადგან ის ყლაპავდა ყველა აბს, რომელიც კი მის ტუმბოზე იდო. იმის გათვალისწინებით, რომ აბები რეცეპტით გაიცემოდა, სამართალდამცავები დაინტერესდნენ, ვინ იყიდა იმ დღეებში კიდევ აბები. შეამოწმეს და გაარკვიეს, რომ ყველას დანიშნულებისამებრ ჰქონდა ნაყიდი და რაც მთავარია, ვისაც ნაყიდი ჰქონდა, გარდაცვლილსა და მისი ოჯახის წევრებს არ იცნობდნენ. ექსპერტს კარის საკეტიც შეამოწმებინეს, ის გასაღებით იყო გაღებული ანუ ვერსია, რომ შვილიშვილი სადმე გავიდა და ბინაში ამ დროს შეაღწია ვინმემ, გამოირიცხა. მშველელად ისევ გარდაცვლილის დაქალი მოევლინათ, რომელმაც თქვა, რომ შვილიშვილი იმ საღამოს მარტო არ ყოფილა და მას ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი ახლდა, რომელთან ერთადაც სახლიდან ორჯერ გავიდაო. გოგონა დაკითხვაზე დაიბარეს.

„ჰო, ჩემი შეყვარებული მოვიდა... ამაში დანაშაულს ვერ ვხედავ. მერე სასეირნოდ წავედი და უკან იმიტომ დავბრუნდი, რომ ბებიას წამლის დალევის დრო უწევდა. მერე ისევ წავედით, გამთენიისას მოვედი, მალე მამა მოვიდა და გარდაცვლილი ბებია მან აღმოაჩინა. მისი მოკვლა რომ მომენდომებინა, როგორმე, ადრე და სხვანაირად მოვახერხებდი. ის დედაჩემს ჰგავდა და როცა ვუყურებდი, სულ მეგონა, რომ დედას ვუყურებდი“, – თქვა გოგონამ და ცრემლები წასკდა.

მორიგი ვერსია ერთ-ერთმა გამომძიებელმა წამოაყენა – ერთი შეხედვით სულელური, უაზრო, მაგრამ მაინც ვერსია. მისი აზრით, გოგონას შეყვარებულიც უნდა გადაემოწმებინათ, ეგებ, მას ჰქონდა რამე ინტერესი ბებიის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს ხავსზე ჩაჭიდებული კაცის ნათქვამი იყო, მაგრამ გადაამოწმეს და როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი იპოვეს. ჯერ ერთი, ბიჭს ინტერესი არ ჰქონდა, მისი შეყვარებულის მოხუცი და სკლეროზით დაავადებული ბებია ცოცხალი იქნებოდა თუ მკვდარი და მეორეც, მისი მშობლები ცნობილი ფარმაცევტები იყვნენ, წლების მანძილზე, სააფთიაქო საქმეში მუშაობდნენ და... აი, სწორედ აქ შემართა თითი ჰაერში გამომძიებელმა – ბიჭს ძალიან მარტივად შეეძლო, მშობლების მეშვეობით, ურეცეპტოდ ეშოვა აბები და ვერავინ ვერაფერს გაიგებდაო. ახლა, ის გახლდათ გასარკვევი, მას აბების შოვნა შეყვარებულმა სთხოვა თუ მომავალმა სიმამრმა, რომელსაც ბიჭის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და პირიქით – უკვე სიძედ თვლიდა. ბიჭი დაკითხვაზე დაიბარეს და აუხსნეს, რომ ცრუ ჩვენების მიცემის გამო, შესაძლოა, გისოსებს მიღმა აღმოჩენილიყო. ახალგაზრდამ ღრმად ჩაისუნთქა და დაიწყო:

„შეყვარებულთან პაემანი მუდმივად იმიტომ წყდებოდა, რომ ის შინ გარბოდა, ბებიას წამალი უდა დავალევინოო. რამდენჯერმე ვუთხარი, დაუტოვე და თავად დალევს-მეთქი, მაგრამ უარს ამბობდა, ერთიანად მიიღებსო, რისიც არ მჯეროდა. იცით, როგორ იყო? აბი ხან მოქმედებდა, ხან – არა და თუ არ მოქმედებდა, მეორე უნდა მიეღო. ამისთვის დავრბოდით წინ და უკან. მშობლებს ვთხოვე, წამლის შოვნაში დამხმარებოდნენ და როცა წავედით, მთელი ფლაკონი ტუმბოზე დავუდე. დარწმუნებული ვიყავი, გამოსავალს მივაგენი, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ყველა აბი ჰქონდა მიღებული და უკან რომ მივბრუნდით, ჩემმა შეყვარებულმა კი თქვა, მშვიდად სძინავსო, მაგრამ მე გახსნილი ფლაკონი შევნიშნე, ჩავიხედე და ცარიელი იყო. მივხვდი, რომ შარში ვიყავი, ფლაკონი ჩუმად ავიღე და წამოვედით. მოკლედ, ჩემი ბრალია იმ ქალის გარდაცვალება“, – დაასრულა მონოლოგი ახალგაზრდა კაცმა.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, გარდაცვლილის მეგობრის გარდა, მომჩივანი სხვა არავინ გახლდათ, ხოლო როცა სიმართლე გაიგო, თავიდან კი დაიწყო წივილ-კივილი, მაგრამ მერე ბიჭი შეეცოდა, რა დროს მაგის ციხეა, ცოლი უნდა მოიყვანოსო და... სასამართლომ (ბიჭის მშობლების ჩარევის გათვალისწინებით), 3 წლით პირობითი სასჯელი მისცა.

9 თვეში, საქართველოში, სამოხელეო დანაშაულის 311 შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან 54 გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 37, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების 145, განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულების 16, ქრთამის აღების 26, ქრთამის მიცემის 6, ზეგავლენით ვაჭრობის 3, სამსახურებრივი სიყალბის 19 და სამსახურებრივი გულგრილობის 59 შემთხვევა გამოვლინდა.

უწყების ინფორმაციით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში სამოხელეო დანაშაულის 432 ფაქტი დარეგისტრირდა, შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული 28.01%-ით შემცირდა.

9 თვეში, სქესობრივი დანაშაულის 412 ფაქტი დაფიქსირდა, მათგან 272 გახსნილია

მიმდინარე წლის 9 თვეში, საქართველოში სქესობრივი დანაშაულის 412 ფაქტი დაფიქსირდა, მათგან 272 გახსნილია. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ ინფორმაციაშია ასახული.

კერძოდ, უწყების ინფორმაციით, 2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, გაუპატიურების 154 შემთხვევა დარეგისტრირდა, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების – 54, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების – 22, თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის – 86, გარყვნილი ქმედების კი – 96.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში, სქესობრივი დანაშაულის 396 შემთხვევა აღირიცხა, შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული 4.04%-ით გაიზარდა.

2023 წლის 9 თვეში, საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა 99 ადამიანის მიმართ დაიწყო, აქედან 10 თანამდებობის პირი იყო

2023 წლის 9 თვის განმავლობაში, საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა 99 პირის მიმართ დაიწყო.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 2023 წლის 9 თვეში გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 117 სისხლის სამართლის საქმეზე.

„საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან კორუფცია საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ამ ბრძოლის წარმატებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ორგანოების რეპუტაცია და გამართული ფუნქციონირება.

კორუფციული დანაშაული მისი სპეციფიკიდან, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რის გამოც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 2023 წლის 9 თვეში გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 117 სისხლის სამართლის საქმეზე.

2023 წლის 9 თვის განმავლობაში საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 99 პირის მიმართ.

2023 წლის 9 თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 88 პირის მიმართ, რომლებიც კორუფციული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებულნი იყვნენ საჯარო სამსახურში, ხოლო მათგან 10 ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას წარმოადგენდა მაღალი თანამდებობის პირს.

2023 წლის 9 თვეში სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 78 პირის მიმართ.

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ეფექტიანად ჩატარება. 2023 წლის 9 თვეში სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან საქართველოს პროკურატურაში გადმოიგზავნა 9 ანგარიში, რომელთა საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე, ხოლო 4 ანგარიში თემატურად დაერთო მანამდე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებს.

რაც შეეხება აუდიტის დასკვნის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, 2023 წლის 9 თვეში პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, 5 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობდა საჯარო სექტორში“,– აღნიშნულია საქართველოს პროკურატურის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაში.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მომღერალ ბაბი კირკიტაძესთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერის უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მომღერალ ბაბი კირკიტაძესთან დაკავშირებული, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ვიდეოჩანაწერის უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 1571-ე მუხლით მიმდინარეობს.

„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის 11 დეკემბერს, მომღერალ ბაბი კირკიტაძესთან დაკავშირებული, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ვიდეოჩანაწერის უკანონოდ დამზადებისა და გავრცელების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1571-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სწრაფი და ობიექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად, ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას ჩაატარებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

მებაჟე ოფიცრებმა დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

ბოლო ერთი თვის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში – „სარფი“ და „ნინოწმინდა“ დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში – 58 996 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი და 1,5 კილო თამბაქო აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს, ფულადი ჯარიმა, 1000 ლარის ოდენობით შეეფარდათ, ხოლო საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 3 კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ჩამოერთვა საქონელი და ვინაიდან ქმედება იყო განმეორებითი, თითოეულს, ფულადი ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით შეეფარდათ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

კ'ვარაცხეილა – იტალია ღირსია, კვარა ინგლისში წავიდეს

იტალიის საფეხბურთო ასოციაციამ გასული სეზონის გამორჩეული ფეხბურთელები დაასახელა. საუკეთესო გოლის ავტორის პრიზი ხვიჩა კვარაცხელიას ერგო და სწორედ ეს პრიზი გახდა მთავარი სკანდალის მიზეზი. არავინ დაობს, რომ გასული სეზონის მშვენება და საუკეთესო გოლი სწორედ ქართველი შემტევის იყო, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პრიზზე ჩვენებურის გვარში ორი შეცდომა იყო დაშვებული და ასე ეწერა – Khvicha K'varatskheila.

„ქართველ ჩემპიონს, გასული სეზონის საუკეთესო გოლის ავტორს, ნამდვილ ვარსკვლავს, ასევე სერია A-ს ნამდვილ რევოლუციონერს, უპატივცემულოდ მოექცნენ. ეს მეტყველებს, რა დონეზე დავეცით: საუკეთესო ფეხბურთელს, დაჯილდოების ცერემონიალზე გადასცეს პრიზი, რომელზეც მისი გვარი ორი შეცდომით ეწერა. ჩვენ ვიმსახურებთ, რომ კვარაცხელია პრემიერლიგაში, რაც შეიძლება მალე წავიდეს“, – ეს განცხადება ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა, პაოლო ძილიანიმ გააკეთა.

მის გარდა, სხვა ჟურნალისტებმაც აღნიშნეს, რომ იტალიის საფეხბურთო ასოციაციაში არაკომპეტენტური ადამიანები მუშაობენ და მათ არათუ საუკეთესო გოლის ავტორის გვარი არ იციან სწორად, არამედ, გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელისაც. მოგეხსენებათ, მანამდე ხვიჩამ სწორედ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი ჩაიბარა.

8 დეკემბერს, კვარაცხელიას „ნაპოლი“ ტურინში „იუვენტუსს“ სტუმრობდა და ტურის მთავარი შეხვედრაც სწორედ ეს იყო. ნეაპოლელებმა მინიმალური სხვაობით წააგეს, თუმცა პირველი ტაიმის შუაწელს, კვარაცხელიას მეკარესთან პირისპირ გასვლის დროს რომ გაეტანა (და უნდა გაეტანა), არავინ იცის, მატჩის სცენარი როგორ განვითარდებოდა.

12 დეკემბერს, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში, კვარაცხელიას „ნაპოლი“ პორტუგალიურ „ბრაგას“ მასპინძლობს და ჯგუფიდან გასასვლელად ძალიან მარტივი ამოცანა აქვს გადასაჭრელი – იტალიელებმა ორი ბურთით არ უნდა წააგონ და შემდეგ ეტაპზე გადიან.

მამარდაშვილის ბოლო სეზონი „ვალენსიაში“

გასულ ზაფხულს, თუ ვინმეს ტრანსფერს ელოდნენ ესპანელი ჟურნალისტები, ეს გიორგი მამარდაშვილი იყო. „ვალენსიას“ მეკარეს ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა და მსურველების რიგიც დაუდგა, მაგრამ იმის გამო, რომ კლუბი უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში იყო, გადაწყდა, გიორგი არ გაეყიდათ. ასეთ შემთხვევაში, დიდი იყო შანსი, რომ „ღამურები“ სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებულიყვნენ.

მიმდინარე სეზონში, „ვალენსია“ ისე ასპარეზობს, გავარდნა არ ემუქრება და ამაში მამარდაშვილის წვლილი უდიდესია. ქართველი მეკარე დამაჯერებლად თამაშობს, და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიცაა. ჰოდა, სეზონის ბოლოს, ქართველი კიპერი კლუბს აუცილებლად გამოიცვლის და როგორც ესპანური მედია წერს, მის თაობაზე ვალენსიელები წინადადებების გახილვას გაზაფხულიდან დაიწყებენ. გიორგის ფასი 25 მილიონ ევროზე ნაკლები არ იქნება და ეს ის თანხაა, რომელსაც არაერთი კლუბი გადაიხდის. მოგეხსენებათ, მამარდაშვილი საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეა და მისი ასაკის გათვალისწინებით, უახლოესი 10 წლის განმავლობაში, ნაკრების კარს სწორედ ის დაიცავს.

8 დეკემბერს, გიორგის „ვალენსია“ „ხეტაფეს“ ესტუმრა და 1:0 წააგო. ამის მიუხედავად, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად მამარდაშვილი დაასახელეს და მართლაც, ქართველი მეკარე რომ არა, „ღამურები“ ბევრად დიდი სხვაობით დამარცხდებოდნენ.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციას ანდრეი შევჩენკო ჩაიბარებს

უკრაინის საფეხბურთო სამყაროში დიდი ამბებია. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ანდრეი პაველკო და გენერალური მდივანი, იური ზაპისოცკი ადგილობრივმა სამართალდამცავებმა დააკავეს. როგორც ისინი აცხადებენ, მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, პრეზიდენტმა და გენმდივანმა, ფედერაციის კუთვნილი თანხები მიითვისეს. საუბარი რამდენიმე მილიონ დოლარზეა და მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გამჟღავნდა, საქმეში სამართალდამცავები ჩაერთვნენ.

შესაბამისად, ფედერაციის პრეზიდენტის ახალი არჩევნები ჩაინიშნა და 25 იანვარს, უკრაინულ ფეხბურთს ახალი მესაჭე ეყოლება. განაცხადი რამდენიმე პირმა უკვე შეიტანა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ პრეზიდენტად ლეგენდარულ უკრაინელ ფეხბურთელს, კახა კალაძის ყოფილ თანაგუნდელს, ამჟამად პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მრჩეველს, ანდრეი შევჩენკოს აირჩევენ. მან განაცხადი უკვე შეიტანა და ყველა თანხმდება, რომ შევა ამ პოსტისთვის იდეალური კანდიდატია. სხვა თუ არაფერი, ფულს მაინც არ მოიპარავს, რადგან დღევანდელი მდგომარეობით, მისი ქონება 170 მილიონ დოლარს აჭარბებს.

თბილისის „დინამომ“ სეზონი 53-მილიონიანი ზარალით დაასრულა

ადრეც დავწერეთ, რომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს, თბილისის „დინამოს“ კარგი დროება ნამდვილად არ უდგას. ახლა კი კლუბმა ოფიციალური მონაცემები გამოაქვეყნა და აღიარა, რომ სეზონი 53-მილიონიანი ზარალით დაასრულა.

შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის“ შემოსავლებმა 9 მილიონი შეადგინა. აქედან, 4.4 მილიონი ფეხბურთელების ლიცენზიების გაყიდვიდან მიიღო, 2.5 მილიონი – სტადიონის იჯარიდან შევიდა. საოპერაციო ხარჯებმა 21 მილიონი შეადგინა, საიდანაც 13 მილიონი ხელფასებზე მოდის ანუ შემოსავლები, თუნდაც, ხელფასების გასასტუმრებლად არასაკმარისია. იმის გამო, რომ წლების განმავლობაში შპს ზარალზე ოპერირებს, დაგროვილმა ვალმა 53 მილიონი ლარი შეადგინა, შესაბამისად, კლუბს სჭირდება მნიშვნელოვანი დაფინანსება, რომელსაც საბანკო სესხის სახით იღებს, თუმცა მის გასტუმრებასაც ვერ ახერხებს და სწორედ ამის გამო, 2020 წელს, ვი თიბი ბანკს საკუთრებაში „დინამოს“ 8.3 მილიონიანი ქონება გადაეცა (მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები).

ბანკებისგან აღებული სესხი 17 მილიონი ლარია, რაც კლუბის აქტივების 43%-ზე მეტია და მოდით, ვაღიაროთ, რომ საქართველოში ფეხბურთი მომგებიანი ბიზნესი, უბრალოდ, არ არის. ორი ვარიანტია – ან სახელმწიფომ უნდა მოიფიქროს რამე, ან უცხოური ინვესტიციები უნდა შემოვიდეს და ჩაიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ წრეზე ვივლით და არაფერი გვეშველება. ხომ გამოჩნდა, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 250 მილიონი ლარიც არაფერია და რეალურად, ეს ჰაერში გასროლილი თანხაა, რადგან კლუბებმა მიღებული ფული, ძირითადად, ხელფასების გასტუმრებას მოახმარეს და არა, თუნდაც, ინფრასტრუქტურის ინვესტირებას.

საიდან იღებენ ფულს უცხოური კლუბები? პირველ რიგში, ტელეტრანსლირების უფლების გაყიდვიდან, შემდეგ მოდის ბილეთები, კლუბის მაღაზიები... საქართველოში კი არც ტრანსლირებას ყიდულობს ვინმე, არც ბილეთს და არც საკლუბო მაღაზიაში შედის. შეგახსენებთ, რომ „დინამოს“ პრეზიდენტი ბიზნესმენი რომან ფიფია გახლავთ, აქციების 50%-ის მფლობელი სოფიკო ფიფიაა, 50%-ს კი ბექა ფიფია ფლობს.

დათუნაშვილმა კარიერა დაასრულა

ზურაბ დათუნაშვილის ისტორია გემახსოვრებათ – ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან, გეგა გეგეშიძესთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, ის საქართველოდან წავიდა და კარიერა სერბეთში გააგრძელა. ქართველმა მოჭიდავემ სერბეთის სახელით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო, ტოკიოს ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და სერბეთში წლის სპორტსმენადაც დაასახელეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან გამოკითხვაში ლეგენდარულ ნოვაკ ჯოკოვიჩსაც კი აჯობა. შესაბამისად, დათუნაშვილი პარიზის 2024 წლის ოლიმპიადაზე, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად უნდა წასულიყო, მაგრამ...

„მოგესალმებით, მეგობრებო. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ჭიდაობისთვის მაქვს მიძღვნილი. ჩემს კარიერაში იყო არაერთი დიდი გამარჯვება და ბევრი იმედგაცრუებაც, ჯერ კიდევ 21 წლის ასაკში შევძელი ჩემს პირველ ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა და მცირე ასაკში ავისრულე ყველა სპორტსმენის მთავარი ოცნება.

ტოკიოს ოლიმპიადის დასრულების შემდეგაც, ჩემი მთავარი მიზანი პარიზის 2024 წლის ოლიმპიადა იყო და მისთვის მზადების პროცესში ვიყავი, თუმცა საზოგადოების ნაწილისთვის ცნობილია, რომ გასულ ზაფხულს შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა და დამჭირდა სასწრაფო ოპერაციაც.

სამწუხაროდ, პარიზის ოლიმპიადამდე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვეღარ ვასწრებ ფორმის აღდგენას და 32 წლის ასაკში მიწევს აქტიური სპორტსმენის კარიერა დავასრულო. თუმცა, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩემი ცხოვრება მთლიანად ჭიდაობასთან არის დაკავშირებული და ასე იქნება მომავალშიც. მივდივარ აქტიური სპორტიდან, თუმცა ვრჩები ჭიდაობაში და ვაპირებ, ჩემი 26-წლიანი გამოცდილება მოვახმარო ჭიდაობის განვითარებაზე ზრუნვას, როგორც საქართველოსა და სერბეთში, ისე მთლიანად მსოფლიოში“, – ეს განცხადება დათუნაშვილმა სოციალურ ქსელში, ოფიციალურ გვერდზე გაავრცელა და კარიერის დასრულების შესახებაც ოფიციალურად განაცხადა.

ჯიკიჩი საქართველოში ებრაელებმა არ გამოუშვეს

მას შემდეგ, რაც ილიას ზუროსმა საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა, ჩვენი გუნდი მწვრთნელის გარეშეა და ფედერაცია ბერძენი სპეციალისტის შემცვლელს აქტიურად ეძებს. ორიოდე კვირის წინ, ფედერაციის პრეზიდენტმა, ვიქტორ სანიკიძემ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებები სერბ სპეციალისტთან, ალექსანდრ ჯიკიჩთან მიმდინარეობდა და წარმატებითაც დასრულდებოდა, რომ არა იერუსალიმის „ჰაპოელის“ უარი.

საქმე ის გახლავთ, რომ ჯიკიჩი ახლა სწორედ „ჰაპოელის“ თავკაცია და საქართველოს ნაკრებში პარალელურად უნდა ემუშავა, რაც მსოფლიო კალათბურთში მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ ებრაულმა მხარემ უარი თქვა. არადა, ჯიკიჩს „ჰაპოელში“ მართლაც კარგი პერიოდი უდგას, გუნდს ქვეყნის სუპერთასი მოაგებინა, ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გაიყვანა და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ათამაშა.

ოლიმპიურმა კომიტეტმა რუს და ბელორუს სპორტსმენებს მწვანე აუნთო

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მორიგი სხდომის შემდეგ, ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ის რუსი და ბელორუსი სპორტსმენები, რომლებიც კვალიფიკაციის გავლას მოახერხებენ, პარიზის 2024 წლის ოლიმპიადაზე მონაწილეობის მიღებას შეძლებენ. ჯერჯერობით, ოლიმპიური ლიცენზიის მოთხოვნებს, ამ ეტაპზე, 8 რუსი და 3 ბელორუსი სპორტსმენი აკმაყოფილებს, მთლიანობაში კი, ოლიმპიური ლიცენზია სხვადასხვა ქვეყნის 4 600-ზე მეტ სპორტსმენს აქვს მოპოვებული.

როგორც რუსი, ისე ბელორუსი სპორტსმენები ოლიმპიადაზე ნეიტრალური სტატუსით წარსდგებიან და ოქროს მედლის მოპოვების შემთხვევაში, მათი ქვეყნების ჰიმნები არ შესრულდება, არამედ, ოლიმპიური ჰიმნი აჟღერდება. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სპორტსმენებმა ლიცენზია რომ მოიპოვონ, ამისთვის ტურნირებში უნდა მიიიღონ მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც დაუშვებენ. მართალია, იქაც ნეიტრალური სტატუსით, დროშისა და ჰიმნის გარეშე, მაგრამ ეს უფრო თავის მოტყუებას ჰგავს – ისედაც ხომ ყველას ეცოდინება, ვინ რომელი ქვეყნის წარმომადგენელია?!

PARIS 2024

თილიების სამყარო, რომელიც მხატვრის ფუნჯით იქმნება

თამთა ელბაქიძის შემოქმედება – ესთეტიკა, სიმყუდროვე და სითბო ჩვენს სახლებში!

მაკა რუხაძე

თამთა ელბაქიძის ნახატებს რომ შეხედავთ, იქამდე, ვიდრე შინაარსს აღიქვამთ, პირველი, რაც თვალში გეცემათ, ფერებია. პასტელური, საოცრად ნაზი ფერები, რომლებიც სიმშვიდეს გგვრით და თითქოს, კომფორტის ზონაში გაქცევთ. მხოლოდ ამის შემდეგ გადადიხართ ნახატების გმირებზე – თილიებზე, რომლებიც ზღაპრული პერსონაჟები არიან, თუმცა ძალიან ახლობლები. როგორც მხატვარი ამბობს, ისინი არ არიან ანგელოზები, ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ ფრთებით.

– თამთა, მაინც რომ დაგვიკონკრეტოთ, ვინ არიან თილიები?

– ისინი ჩემი წარმოსახვის ნაყოფები არიან. ჩვეულებრივი ადამიანები, უბრალოდ, კეთილები არიან. თილიებმა არ იციან, რას ნიშნავს ბოროტება. მათ სხვა სამყარო აქვთ, სადაც მხოლოდ სიყვარული, სიკეთე და მხიარულებაა.

– საკმაოდ თბილი ფერებით ხატავთ, ფერებსაც თილიებიდან გამომდინარე არჩევთ?

– არა მხოლოდ. ზოგადად, პასტელური ფერები ჩემი ფერებია, მიყვარს ეს ტონალობები, ვფიქრობ, სიმშვიდესა და სიმყუდროვეს უქმნის ადამიანს. ყველა ამას მეუბნება, ვისაც ჩემი ნახატი აქვს სახლში და უკიდია კედელზე.

– თქვენს სოციალურ გვერდებს რომ გადავავლე თვალი, საკმაოდ დიდი გამოხმაურება აქვს, ძირითადად, ვინ ინტერესდება თქვენი ნახატებით?

– თითქმის ყველა ასაკისა და სქესის ადამიანი. ნახატებს ჩუქნიან შეყვარებულებს, შვილებს, მშობლებს, ბებიებს, დედ-მამიშვილებს, მეგობრებს, ნათლულებს და ა.შ. რამდენიმე დღის წინ, ქუჩაში მივდიოდი, ხელში მეჭირა თილიების ბრენდირებით ქაღალდის პარკი, რომლითაც მსურველებს ვატან ნახატებს. უცნობმა ქალბატონებმა შემომხედეს და ერთმანეთს გადაულაპარაკეს, თილიები შეიძინა, ალბათო. თილიები იცნეს. ისე გამეხარდა, რომ არ მომრიდებოდა, მივიდოდი და გავეცნობოდი, მაგრამ როგორც გითხარით, მსგავსი საქციელი ძალიან მეუხერხულება.

– ვინც თქვენს ნამუშევარს შეიძენს, უკუკავშირი თუ მყარდება მასსა და თქვენს შორის?

– კი და ეს უკუკავშირი მაბედნიერებს ძალიან. ხშირად მიკავშირდებიან ისინიც, რომლებსაც აჩუქეს ჩემი ნახატი და მთხოვენ კიდევ ახალი ნახატის შექმნას – ბავშვების ოთახებისთვის, მისაღებისთვის, სამზარეულოსთვის. როგორც გითხარით, თილიებს ყიდულობენ საჩუქრებად ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის, ნათლულებისთვის, ან ნათლიებისთვის, საყვარელი ადამიანებისთვის, ბებიებისთვის და ა.შ.

– თამთა, ხატვა როგორ დაიწყეთ?

– დამთავრებული მაქვს სამხატვრო აკადემია, ტანსაცმლის მოდელირების ფაკულტეტი, ტრიკოტაჟის განხრით. პერიოდულად, მცირე დროით ვმუშაობდი დიზაინერადაც, შემდეგ ოჯახი შევქმენი, ბავშვები რომ წამოიზარდნენ, მივუბრუნდი ჩემს პროფესიას. თუმცა, ამ ეტაპზე, თილიების ხატვა მსიამოვნებს, რაც მთავარია, მაბედნიერებს ის, რომ სხვები ბედნიერდებიან ჩემი შემოქმედებით.

კატები სახლში შიზოფრენიის რისკს ზრდიან

ავსტრალიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ სახლში კატების არსებობა შიზოფრენიის განვითარების რისკს ზრდის. ქვინსლენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა, 11 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით, 17 კვლევა ჩაატარეს, რამაც აჩვენა, რომ ბოლო 44 წლის განმავლობაში, ამ დაავადების მქონე ადამიანები ცხოვრობდნენ და კონტაქტობდნენ კატებთან. სპეციალისტების თქმით, ყველაფერი პარაზიტ Toxoplasma Gondii-ის ბრალია, რომელიც ამ ცხოველებში ცხოვრობს. ის ადამიანის ორგანიზმში, კატებთან თამაშისას, კბენით ან ნაკაწრით გადადის, შემდეგ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში აღწევს და ზემოქმედებს ნეიროტრანსმიტერებზე, რაც ადამიანებს ფსიქიატრიული საავადმყოფოების პაციენტებად აქცევს. ამერიკელი სწავლულები შეეცადნენ ამ მონაცემების გაქარწყლებას და განაცხადეს, რომ 345 მოხალისეზე ჩატარებული კვლევებით მსგავსი რამ ანუ კავშირი შიზოფრენიასა და სახლში კატების ყოფნას შორის არ გამოვლენილა. თუმცა, შემდეგ ისიც აღნიშნეს, რომ არ გაუთვალისწინებიათ კბენების ფაქტორი და საკუთარი აერგუმენტები უკანვე წაიღეს. კატების მფლობელებს კი ურჩიეს, ისინი ვეტერინარებთან პარაზიტებზე შეამოწმონ.

ჩექმა – ადამიანის ფეხის იმიტაცია

პოპულარულმა ბრენდმა – Louis Vuitton, გასაყიდად ჩაუშვა ჩექმა, სახელწოდებით – Illusion, რომელიც ერთი შეხედვით, ადამიანის ფეხს ჰგავს. ბრენდის დიზაინერებმა ქალის ფეხების სრული იმიტაცია შექმნეს, რომელსაც თეთრი ფერის წინდა აცვია. ჩექმა სრული და მოკლე ვერსიებით წარადგინეს და მყიდველის კანის ფერიც გაითვალისწინეს. ეს უჩვეულო ფეხსაცმელი დამზადებულია ხბოს რბილი ტყავისგან და მასზე ხელითაა ამოტვიფრული სამოდელო სახლის ინიციალები – LV. წყვილი ჩექმის ღირებულება 2 470 დოლარია.

სტრესის მოსახსნელად ძროხებს ეფერებიან

ნისლიან ალბიონზე, სტრესის მოსახსნელად, ძროხების მოფერების სერვისი დაინერგა. Euronews-ის ინფორმაციით, სტრესთან ამ ორიგინალური მეთოდით ბრძოლას მოქალაქეებს იორკშირელი ფერმერები სთავაზობენ. მათი განცხადებით, ასეთი თერაპია რეგიონში უკვე საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ძროხების მოსაფერებლად ბილეთები იყიდება. მათი დაჯავშნა მსურველმა ადრიანად უნდა სცადოს, რადგან ერთი თვით ადრე, ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია ხოლმე. ძროხების ფერმაში ოთხსაათიანი ვიზიტი 58 ევრო ღირს. მედიის ცნობით, ამ ფასში შედის პირუტყვის მოფერება, დავარცხნა და საგანმანათლებლო აქტივობები.

სახლში 555 ნაძვის ხე დადგეს

გერმანელი წყვილის, თომას და სუზანა იერომინების ოჯახმა ქალაქ რინტელნიდან, რომელიც გერმანიის ჩრდილოეთში მდებარეობს, მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთ ტერიტორიაზე საახალწლო ნაძვის ხეების რაოდენობით. მათ სახლში, რომლის ფართობიც 180 კვ.მ-ია, 555 ცალი სადღესასწაულოდ მორთული ხე დგას, რომლებსაც 108 ათასი სათამაშო და 48 ათასი განათება ამშვენებს. მხოლოდ ერთ, მისაღებ ოთახში, 89 ნაძვის ხე დგას, დანარჩენები კი საძინებლებში, სამზარეულოში, დერეფანსა და ტუალეტშიც კი განათავსეს. დიდი ხანია, რაც იერომინების ოჯახი ნაძვის ხეების კოლექციას აგროვებს. 57 წლის თომასს, ასეთი აზრი ჯერ კიდევ 14 წლის წინ გაუჩნდა და მას შემდეგ, ყოველ წელს, მის კოლექციას ახალ-ახალი ნაძვის ხეები ემატება. 2021 წელს, სახლში უკვე 444 საახალწლო ხე ედგათ, ახლა – 555 და როგორც თომასი აცხადებს, მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს, რადგან სურს, ეს რიცხვი 600-მდე გაზარდოს. საამისოდ კი მხოლოდ მეუღლის დათანხმებაა საჭირო. ამგვარ გატაცებას იერონიმები საახალწლო დღესასწაულის მიმართ დიდი სიყვარულით ხსნიან.

პინგვინების რბოლა მოაწყვეს

ჩინეთში, ხარბინის პოლარული პარკის თანამშრომლებმა, ზამთრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, უჩვეულო შეჯიბრი – პინგვინების რბოლა მოაწყვეს. ჰაილინის „თოვლიან ქალაქში“, ეს გასაოცარი სტარტები ათასობით ტურისტის თანდასწრებით შედგა. სასაცილო ზურგჩანთებით აღჭურვილი მობაჯბაჯე ფრინველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუმცა ფინიშამდე მისვლა ყველამ ვერ მოახერხა. რბოლისას ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ჩხუბობდნენ კიდეც. ეს საყვარელი არსებები ადამიანებს საერთოდ არ უფრთხოდნენ, პირიქით, სიამოვნებით პოზირებდნენ ტურისტებთან. ჰაილინის ყინულისა და თოვლის ფესტივალი – ერთ-ერთი უდიდესი ზამთრის თემატური ფესტივალია მსოფლიოში და ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს იზიდავს.

მტრედების გუნდზე დარტყმისთვის ტაქსისტი დააკავეს

ტოკიოს პოლიციამ ტაქსის მძღოლი დააკავა, რომელსაც მტრედების გუნდზე განზრახ დარტყმა ედება ბრლად, რის გამოც ერთი ფრინველი მოკვდა კიდეც. „50 წლის ტაქსისტმა ოძავამ, საკუთარი ავტომობილი ჩვეულებრივი მტრედის მოსაკლავად გამოიყენა, რომელიც არ არის სამონადირეო ფრინველი“, – განაცხადეს სამართალდამცავებმა.

ოძავა – პროფესიონალი მძღოლი, ველური ბუნების დაცვის კანონის დარღვევისთვის დააპატიმრეს. მამაკაცის თქმით, მან ფრინველების გუნდს მანქანა იმიტომ დაარტყა, რომ გზები ადამიანებისთვისაა და მტრედები უნდა მოერიდონ ავტომობილებსო. პოლიციამ ეს ქმედება „განსაკუთრებით ბოროტ განზრახვად“ ჩაუთვალა.

თავიდან საჭმელი ჩხირები ამოუღეს

ვიეტნამში, ქირურგთან ვიზიტზე მამაკაცი მივიდა, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში, თავის გამუდმებული ტკივილისგან იტანჯებოდა. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ პნევმოცეფალია, თავის ქალის შიდა პნევმოთორაქსი და იქ ორი უცხო სხეული აჩვენა, რომელიც ცხვირში იყო გაჭედილი, საიდანაც თითქმის ტვინამდე აღწევდა. მედიკოსები გაოცდნენ, როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო ანუ ხის საჭმელი ჩხირები თავში გაჭედილიყო. მამაკაცმა გაიხსენა, რომ მეგობრებთან ერთად სვამდა, სადაც ჩხუბი ატყდა. შემდეგ რა მოხდა და როგორ აღმოჩნდა საჭმელი ჩხირები ცხვირში, თავად პაციენტსაც არ ახსოვდა. სასმელის მოყვარულ ვიეტნამელს ოპერაცია ჩაუტარდა და საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.

გასახდომი პიცა გამოუშვეს

ადამიანებს, რომელთაც დიეტის დაცვა გადაწყვიტეს, ხშირად ძალიან უჭირთ საყვარელ პროდუქტებზე უარის თქმა. ერთ-ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ ამ პრობლემის გადაჭრა გადაწყვიტა – მათ გასახდომი პიცა შეიმუშავეს. ამ დაბალკალორიული კერძისთვის საჭირო ნაკრებში შედის ორი პაკეტი – ერთი ფხვნილია ცომისთვის, რომელშიც მცენარეული ცხიმები და კვერცხის ცილაა, მეორეში კი – ტომატის სოუსი. კერძის მოსამზადებლად ამ ფხვნილებს წყალი უნდა დაუმატოთ და საგულდაგულოდ აურიოთ. პიცისთვის ყველის დამატება რეკომენდებული არ არის, რადგან ის ბევრ კალორიას შეიცავს, სამაგიეროდ, მსურველებს ბოსტნეულის დამატება შეუძლიათ, რომელშიც ნაკლები ნახშირწყლებია – ბულგარული წიწაკა, სოკო, პომიდორი, ისპანახი და წითელი ხახვი. მზა პიცა მხოლოდ 200 კალორიას შეიცავს. ეს 300-ით ნაკლებია ტრადიციულზე. გასახდომი პიცის მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ მათი პროდუქცია გამდიდრებულია ვიტამინებით, მინერალებითა და ცილების დიდი რაოდენობით.

კატაფალკა მიცვალებულთან ერთად გაიტაცა

აშშ-ში, ლოს-ანჯელესში, ერთ-ერთი დაკრძალვის ცერემონიისას, კატაფალკა მიცვალებულთან ერთად გაიტაცეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა დაკრძალვის ხელმძღვანელმა პასტორმა ცოტა ხნით დატოვა მანქანა 19 წლის ბიჭის გვამით, ეკლესიაში ყვავილები რომ განეთავსებინა. გარეთ გამოსულს კატაფალკა რომ აღარ დახვდა, ღვთისმსახურმა მაშინვე პოლიციასა და მიცვალებულის ახლობლებს შეატყობინა. ამ დროს ჭირისუფლებიც უკვე მიდიოდნენ ეკლესიისკენ, როცა შეამჩნიეს მანქანა თავიანთი მიცვალებულით. ახლობლები დაეწივნენ და მძღოლთან ჩხუბი გამართეს. ამასობაში პოლიციაც გამოჩნდა და გამტაცებელი დააკავეს – მის მიმართ საქმე აღიძრა და ფსიქიატრიული ექსპერტიზაც დაინიშნა.

უფასო სადილი ლამაზი გარეგნობისთვის

ჩინეთის ქალაქ ჩჟენჩჟოუში მდებარე რესტორანი ექსპერიმენტს ატარებს და კლიენტებს სთავაზობს, კვების საფასური ახალი მეთოდით – საკუთარი გარეგნობით გადაიხადოს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, დაწესებულება საამისოდ ფეის-კონტროლს იყენებს. კლიენტების ფოტოს მანამდე იღებენ, ვიდრე ისინი მაგიდას მიუსხდებიან. მათ გარეგნობას „ექსპერტების“ ჯგუფი აფასებს, რომელშიც პლასტიკური ქირურგები შედიან. მას, ვისაც ექსპერტები ლამაზად მიიჩნევენ, რესტორანი სადილში ფულს არ ახდევინებს. ეს სიახლე სოციალურ ქსელში დიდი განხილვის საგანი გახდა, ხალხი უფასოდ კვების საკუთარ შანსებს აფასებდა, თუმცა აქცია ყველას არ მოეწონა, მათ შორის, არც ქალაქის ხელისუფლებას, მაგრამ რესტორანი აქციას მაინც აგრძელებს.

როგორ ცხოვრობს გოგონა ნახევარი ტვინით

16 წლის ამერიკელმა მორა ლეებმა, ნიუ-ჯერსის შტატიდან, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობაში ამოკვეთეს ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, ისწავლა სიარული, ლაპარაკი და ჩოგბურთსაც კი თამაშობს. გოგონას ტვინის ნახევარი ცხრა თვის ასაკში ამოუღეს, რადგან დედის მუცელში მყოფმა ინსულტი გადაიტანა. ამის გამო, გოგონას ძლიერი კრუნჩხვები ჰქონდა, რომელიც შესაძლოა, ტვინის ჯანმრთელ ნაწილშიც გადასულიყო და პროცესი შეუქცევადი გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სიარულისა და მეტყველების უნარზე პასუხისმგებელი ტვინის მარცხენა ნახევარსფეროა, სხვა ჯანმრთელ ნაწილებს შეუძლიათ, საკუთარ თავზე აიღონ ეს ფუნქციები, რაც დაეხმარა კიდეც მორას, ესწავლა სრულყოფილი ცხოვრებით არსებობა. მან არა მხოლოდ მარტივი საყოფაცხოვრებო ამოცანების შესრულება ისწავლა, არამედ, თამაშობს კიდეც განმავითარებელ თამაშებს და სკოლაშიც სწავლობს. 11 წლისას, გოგონას კვლავ დაეწყო შეტევები და მას ტვინზე მორიგი ოპერაცია დასჭირდა, თუმცა მორამ მალევე შეძლო ჯანმრთელობის აღდგენა. ის ახლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა კვლევებში, რათა დაეხმაროს ნეირობიოლოგებს, უკეთ შეისწავლონ ტვინის მუშაობა.

სიმებად საკუთარი თმა გამოიყენა

ლონდონელმა მხატვარმა, ტადას მაქსიმოვასმა უჩვეულო გამოყენება მოუძებნა საკუთარ გძელ თმას. მამაკაცმა ის ვიოლინოს სიმებად აქცია და ეს სპეციალურად ქუჩის მუსიკის დღეს დაამთხვია. მხატვარი თავიდან საჭირო ზომის თმას იღებს და მისგან აუცილებელი სისქის „ძაფს“ აკეთებს. შემდეგ თმა განსაკუთრებულ დამუშავებას გადის უცნობი შემადგენლობის ხსნარში, რომელიც წებოს უფრო ჰგავს. მას შემდეგ, რაც უფრო მტკიცე გახდება თმა, ხემიან ინსტრუმენტზე გადაჭიმავს. უშუალოდ დაკვრის წინ კი, ოსტატი იმავეს აკეთებს, რასაც მუსიკოსები კონცერტის წინ – აწყობს ვიოლინოს იდეალური ხმოვანების მისაღებად. ამ პროექტით მხატვარი ცდილობს, დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ თუკი ადამიანს სურვილი აქვს, შეიძლება, მუსიკა ნებისმიერი რამისგან ააჟღეროს.

ათასი დოლარი ერთ წუთში

ფილადელფიაში, ტაქსის მძღოლმა, თითქმის ათასი დოლარი მიიღო კლიენტისგან, რომელმაც მისი მომსახურებით მხოლოდ ერთი წუთით ისარგებლა. მგზავრმა, რომელმაც მძღოლს მის ცხოვრებაზე გამოკითხა, მადლობა გადაუხადა სალონში სისუფთავისთვის და ამის შემდეგ გააჩერებინა მანქანა. მგზავრობისთვის, რომელიც სულ ერთ წუთზე ცოტა მეტხანს გაგრძელდა, უცნობმა მამაკაცმა ოთხი დოლარი გადაიხადა, მაგრამ „ხურდად“ ტაქსის მძღოლს 990 დოლარი დაუტოვა. როცა გაოგნებული მძღოლი მგზავრს დაეწია და შეცდომის შესახებ აუწყა, უცნობმა ქველმოქმედმა მას მხოლოდ ბედნიერი დღე უსურვა.

თოვლის მოსვლას აპროტესტებენ

ნორვეგიის გუბერნია ეუსტ-აგდერის პოლიცია ადგილობრივ მოსახლეობას სთხოვს, შეწყვიტონ განყოფილებებში რეკვა და თოვლის მოსვლაზე ჩივილი. სამართალდამცავები სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე აცხადებენ, რომ ამგვარი მიმართვები უამრავი მოქალაქისგან მიიღეს. ხალხი რეკავს და ჩივის, რომ თოვლი მოდის და რომ ამის გამო, სამსახურში აგვინდებათ, ან ფოსტალიონმა გაზეთი ვერ მიიტანა და ასე შემდეგ. „ჩვენ ასეთი სახის განცხადებებს არ განვიხილავთ“, – წერენ პოლიციის თანამშრომლები. მათი თქმით, ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ნორვეგიაში ცხოვრობენ და უნდათ თუ არა, იქ თოვლი მაინც მოვა. ეუსტ-აგდერი ქვეყნის სამხრეთით, ატლანტიკის სანაპიროზე მდებარეობს, სადაც კარგად განვითარებული სამთო-სათხილამურო ტურიზმია.

სუნამო ქალის ასაკს ამხელს

მანდილოსნებს ასაკის დამალვა ყველა ეპოქაში ახასიათებდათ. დღეს ამაში მათ პლასტიკური ქირურგია, ან ანტიასაკობრივი კოსმეტიკა ეხმარებათ. თუმცა, ეს ყველაფერი, შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდად გამოიყურებოდნენ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლების ასაკის დადგენა მათი სუნამოს სურნელითაც შეიძლება. იაპონელი სწავლულების დასკვნების თანახმად, რაც უფრო დიდი ასაკისაა ადამიანი, მით მეტ ნონენალს – ქიმიურ ნივთიერებას გამოყოფს მისი სხეული, რომელიც კანში ცხიმმჟავების დაშლისას წარმოიქმნება. ნონენალს სპეციფიკური სუნი აქვს და სწორედ მას შეუძლია გაამხილოს მშვენიერი ბანოვანის ასაკი. 40 წელს ზემოთ ქალებში ნონენალის რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე 20 და 30 წლის ასაკში. კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა ამერიკელმა მეცნიერებმა გააკეთეს, რატჯერსის უნივერსიტეტიდან. ისინი ირწმუნებიან, რომ მამაკაცებს შეუძლიათ ქვეცნობიერად, პარფიუმის მიხედვით გაარჩიონ, რა წლოვანების არის ქალი. ექსპერიმენტში მონაწილე, 20-დან 60 წლამდე ასაკის ძლიერ სქესს შესთავაზეს განესაზღვრათ, რომელი არომატი უხდება სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს. მათ არჩევანი ვანილის, ლავანდის, ვარდის, ხილისა და ბოსტნეულის სურნელებს შორის უნდა გაეკეთებინათ. ვარდის სურნელი თითქმის ყველა მამაკაცმა ასაკოვან ქალბატონებს მიაკუთვნა, ხოლო ხილის ნოტები, მათი მოსაზრებით, ახალგაზრდა გოგონებთან ასოცირდება.

უჩვეულო კერძი საუკეთესო მზარეულისგან

მსოფლიოში ორჯერ საუკეთესოდ აღიარებული დანიური რესტორნის – Noma-ს შეფ-მზარეულმა დაწესებულების ფილიალი გახსნა ამომავალი მზის ქვეყანაში და კლიენტებს ტოკიოში სთავაზობს, გასინჯონ კერძი ცოცხალი კრევეტებითა და მკვდარი ჭიანჭველებით. რენე რეძეპიმ კერძს „კრევეტები ნაგანოს ტყის არომატებით“ უწოდა. ცოცხალი სამეფო კრევეტი ყინულზეა მოთავსებული და ერთი მუჭა მკვდარი ჭიანჭველებითაა შეკმაზული. კულინარული კრიტიკოსები, რომელთაც ცნობილი მზარეულის ახალი კერძი დააგემოვნეს, აღნიშნავენ, რომ ჭიანჭველამჟავას წვეთები შესანიშნავად ეხამება კრევეტის ვარდისფერ ხორცს. კერძის ღირებულება 149 ათასი იენია (დაახლოებით, 1 260 დოლარი). Noma-ს იაპონურ რესტორანში, გარდა კრევეტებისა, მსურველებს სხვა უჩვეულო კერძების დაგემოვნებაც შეუძლიათ.

მანქანას ღამის გასათევად აქირავებს

აშშ-ში, ქალაქ ფენიქსში მცხოვრები პროფესიონალი მძღოლი საკუთარ მანქანას – Tesla, ღამის გასათევად აქირავებს. ამ მომსახურებაში კი 85 დოლარს ითხოვს. ეს უჩვეულო განცხადება აპარტამენტების გაქირავების ცნობილ საიტზე გამოქვეყნდა. მძღოლმა სტივმა გადაწყვიტა, რომ ღამით მანქანა „უსაქმოდ“ არ იდგეს და განაცხადა, სჯობს, ამ დროსაც შემოსავალი მოიტანოსო და სალონში ღამის გასათევი მოაწყო. ამავდროულად, მანქანა საიმედოდ ჩაიკეტება ავტოფარეხში, რათა ვერავინ შეძლოს ამ „ბორბლებიანი მოტელიდან“ თანხის გადაუხდელად გაპარვა. მომსახურების საფასურში შედის გასაბერი მატრასის გაბერვა და თეთრეული. აკრძალულია მოწევა და შინაური ცხოველების შეყვანა. ელექტრომობილის მფლობელი კლიენტებს აფრთხილებს, რომ Tesla მისი პირადი სატრანსპორტო საშუალებაა, ამის გამო, დამქირავებლმა დილის 08.00 საათზე ის უკვე უნდა გათავისუფლოს, რათა პატრონმა სამსახურში წასვლა შეძლოს.

ველოსიპედისტებსაც დააჯარიმებენ

ბელგიის ერთ-ერთ რეგიონში – ფლანდრიაში, ველოსიპედით მოსიარულეებს, საათში 30 კილომეტრზე მეტი სიჩქარით მოძრაობისთვის დააჯარიმებენ. კანონში შეტანილი ცვლილებები უკვე 2024 წლის იანვრიდან ამოქმედდება. დარღვევების დასაფიქსირებლად კი ქუჩებში კამერებს დააყენებენ. ჯერჯერობით, უცნობია, როგორ მოხდება მძღოლების იდენტიფიცირება, რადგან ველოსიპედისტები არ არიან ვალდებულები, ამ სახის ტრანსპორტზე სანომრე ნიშნები დააყენონ.

ყავის ჭკვიანი მადუღარა შექმნეს

შინ თუ სამსახურში ყავის მადუღარას ან „ესპრესოს“ აპარატს ხშირად რამდენიმე ადამიანი იყენებს. ამიტომ, ყოველ ჯერზე, შესაძლოა, შემთხვევით, სხვისი გემოვნებით შერჩეული ყავა დალიოთ, ან თქვენს მიერ ჩამოსხმულ „ესპრესოს“ რძიანი ყავის გემო ჰქონდეს. ამ პრობლემას ამიერიდან ყავის „ჭკვიანი“ მადუღარა მოგიგვარებთ. ეს მაღალტექნოლოგიური მანქანა, რომელსაც Memory უწოდეს, თქვენთვის სასურველ სასმელს დაიმახსოვრებს და ყოველთვის მას ჩამოგისხამთ. მადუღარა ასეთი პრინციპით მუშაობს: სენსორულ ეკრანზე ირჩევთ, როგორი ყავა გინდათ და მას თქვენს პროფილზე, ხელისგულის ანაბეჭდთან ერთად შეინახავთ. მადუღარას ყოველი გამოყენების დროს, უბრალოდ, ეკრანზე ხელს დაადებთ, აპარატი აღიქვამს მონაცემებს და თქვენს სასურველ „ღვთაებრივ სასმელს“ ჩამოგისხამთ.

ჩატბოტის შექმნილი კანონი მიიღეს

ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრის ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომელიც მთლიანად ხელოვნურმა ინტელექტმა დაწერა. დოკუმენტი ჩატბოტმა ადგილობრივი საბჭოს წევრის, რამირო როსარიოს „თხოვნით“ შექმნა. ჩინოვნიკმა მას დადგენილების შემუშავება „სთხოვა“, რომელიც მოპარული წყლის მრიცხველების შეცვლის სანაცვლოდ, ქალაქის ხელისუფლებას გადასახადის გადამხდელებისგან თანხის აღებას აუკრძალავს. ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც ერთი სიტყვაც კი არ შეუცვლია, როსარიომ 35 კოლეგას წარუდგინა. საბჭომ ერთხმად მოიწონა დადგენილება და ის უკვე ძალაში შევიდა. მხოლოდ ამის შემდეგ აღიარა ჩინოვნიკმა, რომ დოკუმენტის ავტორი თავად არ იყო.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.